

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

## გიორგი ლობჟანიძე

გულის და თირკმელების ურთიერთქმედების გარკვეული  
მახასიათებლები კარდიო-რენული სინდრომის პირველი და მეორე  
ტიპის დროს

დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო სელმძღვანელები: ზურაბ ფალავა  
ნინო ჭარაშიძე

თბილისი

2016

## სარჩევი

გამოყენებული შემოკლებები.....	4
წინასიტყვაობა.....	8
შესაგალი.....	9
სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, მოცულობა და პროგრამული უზრუნველყოფა.....	14
პუბლიკაციები.....	14
1. ლიტერატურის მიმოხილვა .....	16
1.1. კარდიო-რენული სინდრომი.....	16
1.1.1. I ტიპის კარდიო-რენული სინდრომი.....	20
1.1.2. II ტიპის კარდიო-რენული სინდრომი.....	21
1.1.3. III ტიპის კარდიო-რენული სინდრომი.....	23
1.1.4. IV ტიპის კარდიო-რენული სინდრომი.....	24
1.1.5. V ტიპის კარდიო-რენული სინდრომი.....	25
1.1.6. მკურნალობა .....	26
1.2. გულის უქმარისობა .....	29
1.3. თირკმელების დაზიანების მექანიზმი .....	36
1.4. მარჯვენა პარკუჭის როლი.....	40
1.5. თირკმელების დაზიანება და გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე.....	42
1.6. დასკვნა .....	46
2. ეთიკური საკითხების გადაწყვეტა.....	47
2.1. მიმოხილვა .....	47
2.2. პაციენტების პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.....	48
2.3. დასკვნა .....	55
3. კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია და პროტოკოლი.....	57
3.1. კვლევის მიზნები.....	57
3.2. დიზაინი .....	57
3.3. საკვლევი პოპულაცია, ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმები .....	58
3.5. სტატისტიკური დამუშავების გეგმა .....	58
3.6. მონაცემთა მოპოვება.....	59
4. შედეგები.....	62
5. დასკვნა .....	66

5. English summary .....	68
ACKNOWLEDGEMENTS .....	68
OBJECTIVES .....	69
BACKGROUND .....	69
Mechanism of Renal Impairment.....	71
The role of right ventricle and CVP .....	73
METHODS .....	74
Participants - Study Population.....	74
Sample size and statistical Plan .....	75
Ethical considerations.....	75
RESULTS .....	76
CONCLUSIONS .....	79
PUBLICATIONS.....	80
6. პიბლიოგრაფია.....	81
დანართი 1. პაციენტის რეგისტრაციის ფორმა.....	113
დანართი 2. Patient registration form.....	114

## გამოყენებული შემოკლებები

<b>ACCF/AHA</b>	ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის ფონდი და ამერიკის გულის ასოციაცია (American College of Cardiology Foundation/American Heart Association)
<b>ACE Inhibitors</b>	ანგიოტენზინ-კონვერტინგ-ენზიმის გარდამქმნელი ფერმენტის (აგფ) ინჰიბიტორები (Angiotensin-Converting Enzyme Inhibitors)
<b>ACS</b>	მწვავე კორონარული სინდრომი (Acute Coronary Syndrome)
<b>ADCHF</b>	მწვავე, დეკომპენსირებული შეგუბებითი გულის უკმარისობა (Acute Decompensated Congestive Heart Failure)
<b>ADHF</b>	მწვავე დეკომპენსირებული გულის უკმარისობა (Acute Decompensated Heart Failure)
<b>AHF</b>	გულის მწვავე უკმარისობა (Acute Heart Failure)
<b>AKI</b>	თირკმელების მწვავე დაზიანება (Acute Kidney Injury)
<b>AVP</b>	არგინინ ვაზოპრესინი (Arginine Vasopressin)
<b>ARBs</b>	ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკერები (Angiotensin II Receptor Blockers)
<b>BNP</b>	B-ტიპის ნატრიურეზული პეპტიდი (B-type Natriuretic Peptide)
<b>BIVA</b>	ბიოიმპედანსური ვექტორული ანალიზი (Bioimpedance Vector Analysis)
<b>BUN</b>	სისხლის შარდოვანა აზოტი (Blood Urea Nitrogen)
<b>CHD</b>	გულის თანდაყოლილი დაზღვება (Congenital Heart Disease)
<b>CHF</b>	გულის შეგუბებითი უკმარისობა (Congestive Heart Failure)

<b>CKD</b>	თირკმელების ქრონიკული დაავადება (Chronic Kidney Disease)
<b>CKD-EPI</b>	თირკმელების ქრონიკული დაავადების ეპიდემიოლოგთა კოლაბორაციის ფორმულა (Chronic Kidney Disease Epidemiology Collaboration formula)
<b>CO</b>	გულის წუთმოცულობა (Cardiac Output)
<b>COPD</b>	ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (Chronic Obstructive Pulmonary Disease)
<b>CRS</b>	კარდიო-რენული სინდრომი (Cardio-Renal Syndrome)
<b>CRCS</b>	კარდიო-რენული კახექსიის სინდრომი (Cardio-Renal Cachexia Syndrome)
<b>CVP</b>	ცენტრალური ვენური წნევა (Central Venous Pressure)
<b>EF</b>	განდევნის ფრაქცია (Ejection Fraction)
<b>eGFR</b>	გორგლოვანი ფილტრაციის შეფასებითი მაჩვენებელი (Estimated Glomerular Filtration Rate)
<b>EPO</b>	ერითროპოეტინი (Erythropoietin)
<b>ESC</b>	ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოება (European Society of Cardiology)
<b>ESKD</b>	თირკმელების დაავადების ტერმინალური სტადია (End Stage Kidney Disease)
<b>GFR</b>	გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე (Glomerular Filtration Rate)
<b>HF</b>	გულის უკმარისობა (Heart Failure)
<b>HFREF</b>	გულის უკმარისობა დაქვეითებული განდევნის ფრაქციით (Heart Failure with Reduced Ejection Fraction)
<b>HFPEF</b>	გულის უკმარისობა შენარჩუნებული განდევნის ფრაქციით (Heart

## Failure with Preserved Ejection Fraction)

<b>IAP</b>	ინტრა-აბდომინური წნევა (Intra-Abdominal Pressure)
<b>IRVF</b>	მარჯვენა პარკუჭის იზოლირებული უკმარისობა (Isolated Right Ventricular Failure)
<b>JNC</b>	ერთობლივი ეროვნული კომიტეტი (Joint National Committee)
<b>KIM-1</b>	თირკმლის დაზიანების მოღეკულა 1 (Kidney Injury Molecule-1)
<b>LV</b>	მარცხენა პარკუჭი (Left Ventricle)
<b>LVEF</b>	მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია (Left Ventricle Ejection Fraction)
<b>MDRD</b>	თირკმელების დაავადებების დროს მოდიფიცირებული დიეტის ფორმულა (Modification of Diet in Renal Disease formula)
<b>NGAL</b>	ნეიტროფილურ ჟელატინასთან ასოცირებული ლიპოკალინი (Neutrophil gelatinase-associated lipocalin)
<b>NICVP</b>	არაინვაზიური ცენტრალური ვენური წნევა (Noninvasive Central Venous Pressure)
<b>NKF</b>	თირკმელების ეროვნული ფონდი (National Kidney Foundation)
<b>NSAID</b>	არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები (Non-Steroidal Anti-Inflammatory Drugs)
<b>NYHA</b>	ნიუ-იორკის გულის ასოციაცია (New York Heart Association)
<b>PH</b>	ფილტვისმიერი ჰიპერტენზია (Pulmonary Hypertension)
<b>RAAS</b>	რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემა (Renin-Angiotensin-Aldosterone System)
<b>RAP</b>	მარჯვენა წინაგულის წნევა (Right Atrial Pressure)

<b>RBF</b>	რენალუ სისხლმომარაგება (Renal Blood Flow)
<b>RVP</b>	თირკმელების ვენური წნევა (Renal Venous Pressure)
<b>RSHF</b>	მარჯვენამხრივი გულის უგმარისობა (Right-Sided Heart Failure)
<b>RV</b>	მარჯვენა პარკუჭი (Systolic Blood Pressure)
<b>RVEDD</b>	მარჯვენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური დიამეტრი (Right Ventricular End-Diastolic Diameter)
<b>SBP</b>	სისტოლური არტერიული წნევა (Systolic Blood Pressure)
<b>SCUF</b>	შენელებული უწყვეტი ულტრაფილტრაცია (Slow Continuous Ultrafiltration)
<b>SD</b>	სტანდარტული გადახრა (Standard Deviation)
<b>SNS</b>	სიმპათიკური ნერვული სისტემა (Sympathetic Nervous System)
<b>TAPSE</b>	სამკარედიანი სარქვლის რგოლისებრი ზედაპირის სისტოლური ექსკურსია (Tricuspid Annular Plane Systolic Excursion)
<b>WRF</b>	თირკმელების ფუნქციის მზარდი გაუარესება (Worsening Renal Function)

## წინასიტყვაობა

მსურს მადლიერება გამოვხატო ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის (ტრომსოს უნივერსიტეტის) პროფესორის ბიორნ სტრაუმეს მიმართ, კვლევის პროცესში გაწეული ხელმძღვანელობისთვის და ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკში ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობისთვის.

მადლობას ვუხდი პროფესორ ტურალფ ჰასვოლდს, მისი განსაკუთრებული წვლილისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტრომსოს უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის, რომელიც განხორციელდა პროექტ „სადოქტორო პროგრამა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში: ნორვეგიის განათლების მესამე საფეხურის გამოცდილება საქართველოსთვის“ ფარგლებში.

სწავლის პერიოდში გაწეული მხრდაჭერისთვის, ხელმძღვანელობისთვის და სასარგებლო რჩევებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი პროფესორ ზურაბ ფადაგას, თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეპანს ალექსანდრე ცისკარიძეს, პროფესორ დიმიტრი კორძაიას, ასოცირებულ პროფესორ ნინო ჩიხლაძეს და ასოცირებულ პროფესორ ნინო შარაშიძეს.

და ბოლოს, მადლობას ვუხდი ჩემს მშობლებს და ჩემს მეუღლეს, გულითადი მხარდაჭერისთვის და სასარგებლო რჩევებისთვის.

## შესავალი

წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის ფარგლებში და მისი მიზანი იყო კარდიო-რენტგენის სინდრომის I და II ტიპით დაავადგებულ პაციენტებში მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის (LVEF), მარჯვენა პარკუჭის უკმარისობის (RSHF), ცენტრალური ვენური წნევის (CVP) და თირკმელების ფუნქციის დარღვევის (გამოხატული, როგორც შემცირებული გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე - GFR<90) ურთიერთკაგშირის დადგენა.

კვლევის თემატიკის შერჩევა განაპირობა საკითხის აქტუალობაში – კარდიო-რენტგენი სინდრომის დეფინიციის და კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაცია პირველად 2008 წელს გამოჩნდა სამეცნიერო ლიტერატურაში და იმთავითვე მიიპყრო სამედიცინო საზოგადოების ყურადღება. თუმცა, გულის და თირკმელების დისფუნქციის თანხვედრა კლინიკურ პრაქტიკაში დიდი ხანია ექიმების ინტერესის საგანს წარმოადგენს <sup>59</sup>. სტატისტიკური მონაცემებით, თირკმელების ზომიერი-მძიმე დაზიანება გულის უკმარისობის მქონე პაციენტების დაახლოებით 30 - 60 პროცენტში აღინიშნება <sup>2</sup>. გულსა და თირკმელებს შორის ურთიერთკავშირი კომპლექსური პროცესია და მოიცავს რამდენიმე ძირითად ფაქტორს: მიოკარდიუმის სისტოლური და დიასტოლური ფუნქციის დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს ჰემოდინამიკური დარღვევები, როგორებიცაა შემცირებული დარტყმითი მოცულობა და წუთმოცულობა, არასრული არტერიული ავსება, გაზრდილი წინაგულოვანი წნევა და ვენური შეგუბება <sup>24</sup>.

მიუხედავად საკითხის მიმართ არსებული დიდი ინტერესისა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს თირკმელების ფუნქციის გაუარესების პათფიზიოლოგია ჯერაც არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ბოლო დროის გამოკვლევები აჩვენებს, რომ გულის პირველადი და თირკმელების მეორადი დისფუნქციის მქონე პაციენტების მართვა მხოლოდ “შემცირებული ნაკადის” თეორიაზე დაყრდნობით, არ იძლევა სასურველ შედეგებს <sup>34 35</sup>. ასევე დადგნილია, რომ ინტრა-აბდომინური წნევის (IAP) და ცენტრალური ვენური წნევის მატება, რომელიც თავის მხრივ ზრდის რენულ ვენურ წნევას (RVP), GFR-ის შემცირებას განაპირობებს <sup>60</sup>.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ინტერესს იწვევს მარჯვენა პარკუჭის (RV) როლი კარდიო-რენტული სინდრომის პათოგენეზში. თუმცა, მარჯვენა პარკუჭის ფუნქციური მდგომარეობის შეფასება პრობლემას წარმოადგენს - არ არსებობს ერთი, საზოგადოდ მიღებული და პრაქტიკაში გამოყენებადი RV ინდექსი<sup>54</sup>. მარჯვენა პარკუჭის რთული ანატომიის გამო, მხოლოდ რამოდენიმე ექოსკოპიური პარამეტრია მიჩნეული სარწმუნოდ, რომელთა შორისაც უპირატესობა TAPSE-ს, ანუ სამკარედიანი სარქვლის რგოლისებრი ზედაპირის სისტოლური ექსკურსიას ენიჭება<sup>55</sup>. ფრანკ დინი (Frank L. Dini) და თანაავტორებმა შეისწავლეს RV დისფუნქციის და თირკმელების ქრონიკული დაავადების (CKD) ურთიერთკავშირი გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებში და დაადგინეს, რომ TAPSE-ს და GFR-ს შორის არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია<sup>53</sup>.

ცენტრალური ვენერი წნევა, რომელიც მარჯვენა წინაგულოვანი წნევის (RAP) მიახლოებითი მაჩვენებლია, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მარჯვენა პარკუჭის ფუნქციური მდგომარეობის შეფასებისთვის, თუმცა, ყოველთვის გასათვალისწინებელია სხვა გულ-სისხლძარღვოვანი პარამეტრები, მაგალითად, როგორიცაა მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია (LVEF), რადგან მარჯვენამხრივი წნევა შესაძლოა ირიბად ასახავდეს მარცხენამხრივ წნევას და მარცხენამხრივი ავსების წნევა შესაძლოა იყოს მარცხენა გულის ფუნქციური მდგომარეობის ნიშანი<sup>56</sup>. კევინ დამანის (Kevin Damman) და თანაავტორების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ CVP ასოცირებულია თირკმელების ფუნქციის გაუარესებასთან და დამოუკიდებლად უკავშირდება ყველა მიზეზით გამოწვეულ სიკვდილობას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების ფართო სპექტრში<sup>41</sup>. ჰეიკო უთოფტის (Heiko Uthoffst) და თანაავტორების მიერ ჩატარებულმა კვლევამ უფრო განამტკიცა მოსაზრება, რომ CVP არის მნიშვნელოვანი ჰემოდინამიკური ფაქტორი თირკმელების ფუნქციის გაუარესებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უკავშირდება დაქვეითებულ წუთმოცულობას<sup>42</sup>. აღნიშნული კვლევები სხვა რელევანტურ წყაროებთან ერთად დეტალურად განხილულია წარმოდგენილი ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში.

კარდიო-რენული სინდრომის მქონე პაციენტების მართვა არ არის მარტივი საკითხი, რადგან ერთ ორგანოთა სისტემაზე მიმართულ მკურნალობას შესაძლოა ჰქონდეს სასარგებლო, ან პირიქით, საზიანო შედეგი მეორე ორგანოთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გულსა და თირკმელებს შორის არსებული ურთიერთკავშირის მექანიზმის სრულყოფილად შესწავლას და გააზრებას.

აღნიშნულ საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ CVP, მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციაზე მეტად არის კორელაციაში თირკმელების ფუნქციის დარღვევასთან იმ პაციენტებში, რომლებსაც აღნიშნებათ კარდიო-რენული სინდრომის I და II ტიპი.

კვლევის დიზაინი განისაზღვრა, როგორც რეტროსპექტიული კროს-სექციული და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდა განხორციელების გეგმა, რომელიც მოიცავდა შემდეგ ეტაპებს<sup>61 62 63</sup>:

- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი;
- კვლევის მიმდინარეობისას მოსალოდნელი ეთიკური საკითხების ანალიზი და გადაჭრის გზების განსაზღვრა;
- კვლევის პროტოკოლის შემუშავება (ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმები, შერჩევის მოცულობა და სხვ);
- პროტოკოლის რეგისტრაცია საერთაშორისო რეესტრში;
- სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა და ეთიკის კომისიების თანხმობის მოპოვება კვლევის განხორციელებაზე;
- მონაცემების ამოღება სამედიცინო ჩანაწერებიდან, მონაცემთა ბაზის შექმნა;
- მონაცემების სტატისტიკური ანალიზი;
- პუბლიკაციების მომზადება და გამოქვეყნება სამეცნიერო ჟურნალებში, უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა მოიცავდა პაციენტებს კარდიო-რენული სინდრომის I და II ტიპით. შესაბამისად, ჩართვის პრიტერიუმები იყო HF და eGFR <90. გამორიცხვის პრიტერიუმები განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1. თირკმელების ფუნქციის დარღვევის დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორების არსებობა (მაგალითად, სეფსისი, დიაბეტი);
2. პირველადი ნეფროპათია ან მეორადი ნეფროპათია გამოწვეული გულის უკმარისობის გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით.

რეტროსპექტიულ შესწავლილ იქნა იმ პაციენტების სამედიცინო ჩანაწერები, რომლებიც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ჰოსპიტალიზირებულები იყვნენ წინასწარ შერჩეული სამედიცინო დაწესებულების \* ინტენსიური თერაპიის და ზოგად-თერაპიულ განყოფილებებში გულის უკმარისობის დიაგნოზით (ICD10: I50.0 - I50.9). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კარდიო-რენული სინდრომის მეორე ტიპის დროს მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის შემცირება არ უკავშირდება თირკმელების ფუნქციის გაუარესებას (აღინიშნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურაყოფითი კორელაცია LVEF-ს და eGFR-ს შორის ( $n=44$ ,  $r=-0.336$ ,  $p=0.026$ )). ამავე კატეგორიაში, გამოვლინდა კავშირი NYHA-ს კლასიფიკაციით გულის უკმარისობის ფუნქციური კლასის მატებას და eGFR-ის შემცირებას შორის ( $n=44$ ,  $r=-0.349$ ,  $p=0.02$ ). პირსონის კორელაციის ტესტმა კი აჩვენა საშუალო დასწვრივი (უარყოფითი) კავშირი CVP-ს და eGFR-ს შორის ( $r=-0.48$ ,  $p=0.13$ ) კარდიო-რენული სინდრომის პირველი ტიპის დროს, რაც განსაზღვრავს შერჩევის სასურველ მოცულობას სტატისტიკური ანალიზისათვის ამგვარი, მაგრამ უფრო ფართომასშტაბიანი კვლევებისთვის.

ზემოთაღნიშნული შედეგები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის შემცირება არ უკავშირდება თირკმელების ფუნქციის გაუარესებას კარდიო-რენული სინდრომის II ტიპის დროს. დიასტოლური

\* ჰოსპიტალური ქსელი “მედალფას” 4 სამედიცინო ცენტრი, მედიქლაბჯორჯია, სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრი

დისფუნქცია, მარჯვენაპარკუჭოვანი უკმარისობა, ვენური შეგუბება და ნეიროპორმონალური აქტივაცია არის სავარაუდოდ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც იწვევს GFR-ის შემცირებას გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებში. კარდიო-რენული სინდრომის I ტიპის დროს შესაძლოა ცენტრალური ვენური წნევა LVEF-ზე მეტად იყოს კორელაციაში თირკმელების ფუნქციის გაუარესებასთან, თუმცა, მიღებული შედეგების ვერიფიცირება საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი კვლევით, რომელსაც შესაძლოა პქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა კარდიო-რენული სინდრომის სრულყოფილად გააზრების და მართვის თვალსაზრისით (იხ.: დასკვნა, გვ.66).

## სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, მოცულობა და პროგრამული უზრუნველყოფა

სადოქტორო ნაშრომი წარმოდგენილია ქართულ ენაზე, შემაჯამებელი დასკვნით ინგლისურ ენაზე. ჯამში მოიცავს 114 ნაბეჭდ A4 გვერდს, აქვთ 2 სურათს, 10 ცხრილს, 1 გრაფიკს და ორ დანართს (ინგლისურენოვან დასკვნაში წარმოდგენილია 1 სურათი, 3 ცხრილი და 1 გრაფიკი).

სადოქტორო ნაშრომის, ისევე როგორც პუბლიკაციების მომზადებისას გამოყენებულია Thomson Reuters-ის ბიბლიოგრაფის მართვის პროგრამა EndNote X7. ციტირებულია 287 ლიტერატურული წყარო.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოყენებულია პროგრამა IBM SPSS Statistics 22.

### პუბლიკაციები

სადოქტორო კვლევაზე მუშაობის დასაწყისში განისაზღვრა პუბლიკაციების მომზადების გეგმა 3 ძირითადი მიმართულებით: კვლევის განხორციელებისას მოსალოდნელი ეთიკური საკითხების მიმოხილვა, საკვლევი თემატიკის სრულყოფილი ლიტერატურული ანალიზი და კვლევის შედეგების გამოქვეყნება. აღნიშნიული გეგმა განხორციელდა წარმატებით. წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება შემდეგ პუბლიკაციებს:

1. George Lobzhanidze (First Author). Ethical considerations in non-experimental studies - Georgian and Norwegian experience. PUBLIC HEALTH, ELSEVIER †, 2016.
2. George Lobzhanidze (Sole Author). The role of right-sided heart failure in patients with Cardio-Renal Syndrome. TRANSLATIONAL AND CLINICAL MEDICINE - GEORGIAN MEDICAL JOURNAL, 2016.

† 5-Year Impact Factor: 1.746 © Journal Citation Reports 2016, published by Thomson Reuters

3. George Lobzhanidze (Sole Author). Cardio-Renal Syndrome type 1: the role of Central Venous Pressure and Left Ventricle Ejection Fraction. International Journal of Sciences: Basic and Applied Research, 2016.
4. George Lobzhanidze (Sole Author). The Association among Left Ventricle Ejection Fraction and eGFR in patients with Cardio-Renal Syndrome Type 2. (article in review).

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. კარდიო-რენული სინდრომი

გულის და თირკმელების ფუნქციის დარღვევა ხშირად თანხვდება კლინიკურ პრაქტიკაში - ერთ-ერთი მათგანის პირველადი დაზიანება იწვევს მეორად დისფუნქციას<sup>64</sup>. ეს ურთიერთკავშირი ქმნის პათფიზიოლოგიურ საფუძველს კლინიკური მდგომარეობისა, რომელიც ცნობილია, როგორც კარდიო-რენული სინდრომი. ამ ტერმინის ქვეშ ძირითადად იგულისხმება თირკმელების უკმარისობის განვითარება/პროგრესირება არსებული გულის უკმარისობის ფონზე, თუმცა, ხშირად ასევე გულისხმობენ მდგომარეობას, როდესაც თირკმელების დაქვეითებული ფუნქცია მეორადად იწვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის დარღვევას (აღნიშნულ მდგომარეობას ასევე უწოდებენ რენო-კარდიულ სინდრომს)<sup>14 21</sup>.

თირკმელების ზომიერი-მძიმე დაზიანების (განისაზღვრება, როგორც GFR < 60 მლ/წთ 1,73 მ2-ზე) გავრცელება (პრევალენსი) გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში არის დაახლოებით 30-დან 60 პროცენტამდე<sup>2-5</sup>. NYHA-ს მე-4 ფუნქციური კლასის გულის უკმარისობის მქონე პაციენტების 39%-ს და მე-3 ფუნქციური კლასის 31%-ს აღნიშნებათ თირკმელების მძიმე ხარისხის დაზიანება<sup>65</sup>. ასევე, არსებობს მონაცემები, რომ თირკმელების დაავადების ტერმინალური სტადიით (ESKD) დიაგნოსტირებული პაციენტების სიკვდილობის 44% განპირობებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით<sup>66</sup>.

გულის და თირკმელების დაავადებების ურთიერთკავშირი გამოიხატება შემდეგი ფაქტებით<sup>6</sup>:

- სიკვდილობა გაზრდილია გულის უკმარისობის მქონე იმ პაციენტებში, რომელთაც აღნიშნებათ შემცირებული GFR<sup>7</sup>;
- თირკმელების ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს აქვთ გულ-სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაავადების და გულის უკმარისობის გაზრდილი რისკი; გულ-სისხლძარღვთა დაავადებები კი წარმოადგენს

თირკმელების უკმარისობის მქონე პაციენტების სიკვდილობის დაახლ. 50 პროცენტს<sup>8</sup>;

- მწვავე ან ქრონიკულ სისტემურ დაავადებებს შეუძლიათ გამოიწვიონ როგორც გულის, ასევე თირკმელების დისფუნქცია<sup>9</sup>.

პროფესორ კლაუდიო რონკოს<sup>‡</sup> და თანაავტორების მიერ 2008 წელს განისაზღვრა კარდიო-რენული სინდრომის ხუთი ტიპი, რომლებიც ერთმანეთისგან განირჩევა კლინიკური მიმდინარეობის, პათფიზიოლოგიის, დიაგნოსტირების და მართვის ტაქტიკის მიხედვით<sup>10</sup>. აღნიშნული კლასიფიკაცია 2010 წლის კონფერენციაზე მოწონებულ იქნა ორგანიზაცია “მწვავე დიალიზის ხარისხის ინიციატივის” (ADQI)<sup>§</sup> მიერ.

კარდიო-რენული სინდრომი მოიცავს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობის მდგომარეობებს, რომლებიც ხასიათდებიან როგორც გულის პირველადი, ასევე თირკმელების პირველადი დაზიანებით:

- I ტიპი: მწვავე, დეკომპენსირებული გულის უკმარისობა (ADHF) იწვევს თირკმელების მწვავე დაზიანებას. სხვადასხვა მოსახლეობაში, ADHF-ის გამო ჰოსპიტალიზირებული პაციენტების 27% - 40%-ს აღნიშნება თირკმელების მწვავე დაზიანება (AKI) \*\*. შესაბამისად, I ტიპის CRS ხშირად გვხვდება კარდიოლოგიური ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში<sup>11-14</sup>;
- II ტიპი: გულის ქრონიკული დაავადება იწვევს თირკმელების ქრონიკულ დაავადებას; “გულის ქრონიკული დაავადება” შესაძლოა მოიცავდეს ისეთ მდგომარეობებს, როგორებიცაა გულის ქრონიკული უკმარისობა, თანდაყოლილი მანკი, წინაგულების ციმციმი, კონსტრიქციული პერიკარდიტი და კორონარული არტერიების დაავადება<sup>15</sup>;
- III ტიპი: თირკმელების მწვავე დაზიანება იწვევს გულის დისფუნქციას - არითმიის ან გულის უკმარისობის სახით<sup>16</sup>. მე-3 ტიპი გვხვდება უფრო

<sup>‡</sup> Claudio Ronco, MD. ნეფროლოგიის დეპარტამენტი, წმ. ბორთოლოს ჰოსპიტალი, ვიჩენზა, იტალია.

<sup>§</sup> Acute Dialysis Quality Initiative (ADQI) - საერთაშორისო, ინტერდისციპლინური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 150 წამყვანი უნივერსიტეტის წარმომადგენელს. დაარსდა 2000 წელს.

<sup>\*\*</sup> აღრე გამოიყენებოდა ტერმინი - თირკმელების მწვავე უკმარისობა (Acute Renal Failure (ARF))

იშვიათად, ვიდრე I ტიპი, თუმცა, ეს შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ეს ტიპი უფრო ნაკლებად არის შესწავლილი<sup>10</sup>;

• IV ტიპი: თრკმელების პირველადი დაავადება იწვევს დარღვევებს გულის მხრივ, როგორებიცაა პარკუჭების ჰიპერტოფია, მარცხენა პარკუჭის დიასტოლური დისფუნქცია და გულ-სისხლძარღვთა გართულებების გაზრდილი რისკი<sup>17-19</sup>;

• V ტიპი: გულის და თრკმელების კომბინირებული უკმარისობა გამოწვეული სისტემური დაავადებით. CRS-ის ეს ტიპი შესაძლოა მოიცავდეს მრავალ მწვავე და ქრონიკულ მგლომარეობას, როდესაც აღინიშნება გულის და თირკმლების ერთობლივი დისფუნქცია (მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი, სეფსისი, სისტემური წითელი მგლურა და სხვ) <sup>20</sup>. CRS-ის აღნიშნულ ტიპს ასევე უწოდებენ მეორად კარდიო-რენულ სინდრომს <sup>20 22</sup>.

ტერმინი კარდიო-რენული კახექსიის სინდრომი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აღინიშნება CRS-ს ფონზე კახექსიის განვითარება ან კახექსიის ფონზე CRS-ს განვითარება<sup>23</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ CRS-ის ამ კლასიფიკაციას ჰყავს სკეპტიკოსებიც, კერძოდ, ბრანკო ბრაამი (Branko Braam) და თანაავტორები მიიჩნევენ, რომ CRS-ის ტიპების განსაზღვრა ორგანოთა დაზიანების რიგითობაზე (პირველადი, მეორადი) და განვითარების მიმდინარეობაზე (მწვავე, ქრონიკული) დაყრდნობით, მეტად მარტივი და ხელოვნურია <sup>67 68</sup>. ისინი კარდიო-რენულ სინდრომს აღიქვამენ როგორც ერთ მთლიან, ინტეგრირებულ პროცესს, სადაც გულის და თირკმელების კომბინირებული უკმარისობა აუარესებს ერთმანეთის ფუნქციას იდენტური პათფიზიოლოგიური მექანიზმებით. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა თუ რომელი ორგანოს დისფუნქცია განვითარდება პირველად, რადგან ადგილი აქვს ერთი და იგივე ნეიროპორმონალური სისტემების აქტივაციას ორივე შემთხვევაში, რაც იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადების პროგრესირებას ან ორივე ორგანოს ფუნქციის გაუარესებას. ეს ნეიროპორმონალური სისტემები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: “ჰემოდინამიკური ფაქტორები” და “არა-ჰემოდინამიკური ფაქტორები”, ანუ “კარდიო-რენული კონექტორები” <sup>64</sup>.

კარდიო-რენული სინდრომის შემთხვევების მატებასთან ასოცირებულია შემდეგი რისკ-ფაქტორების არსებობა<sup>69</sup>:

- მოხუცებულთა ასაკი
- თანმხლები დაავადებები (ჰაქრიანი დიაბეტი, არაკონტროლირებადი არტერიული ჰიპერტენზია, ანემია)
- მედიკამენტების მოხმარება (არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები (NSAID), შარდმდენები, ანგიოტენზინის გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორები (ACE Inhibitors), ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკერები (ARBs))
- გულის უქმარისობის ან მარცხენა პარკუჭის დაქვეითებული განდევნის ფრაქციის ანამნეზი
- გადატანილი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი
- HF ფუნქციური კლასი NYHA-ს მიხედვით
- მომატებული კარდიული ტროპონინები
- თირკმელების ქრონიკული დაავადება (შემცირებული eGFR, მომატებული სისხლის შარდოვანა აზოტი (BUN), კრეატინინი ან ცისტატინი)

გულის უქმარისობის მქონე პაციენტებში, რომლებსაც აქვთ შემცირებული GFR, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ თირკმელების პირველადი დაავადება და კარდიო-რენული სინდრომით გამოწვეული თირკმელების დაქვეითებული ფუნქცია<sup>70</sup>. ეს განსხვავება შესაძლოა იყოს ძალზედ რთული, რადგან პაციენტების გარკვეულ ნაწილს აღენიშნება როგორც თირკმლების ქრონიკული დაავადება, ასევე კარდიო-რენული სინდრომი (იგულისხმება I და II ტიპი)<sup>71</sup>. ის, რაც გვაფიქრებინგბს თირკმელების პირველად დაავადებაზე, არის მნიშვნელოვანი პროგენიურია (ჩვეულებრივ, 1000 მგ/დღ-ზე მეტი), ჰემატურია პიურიით და ცილინდრურიით ან მის გარეშე, და/ან რადიოლოგიური კვლევებით გამოვლენილი თირკმელების შემცირებული ზომა<sup>72</sup>. თუმცა, ნორმალური შარდის საერთო ანალიზი, რომელიც, როგორც წესი, ხშირია კარდიო-რენული სინდრომის დროს, ასევე შეიძლება აღინიშნებოდეს ზოგიერთი კატეგორიის თირკმელების დაავადებების დროსაც, მათ შორის ნეფროსკლეროზის და ობსტრუქციული ნეფროპათიის დროს<sup>73 74</sup>.

### 1.1.1. I ტიპის კარდიო-რენული სინდრომი

I ტიპის, ანუ მწვავე კარდიო-რენული სინდრომი, ხასიათდება გულის ფუნქციის სწრაფი გაუარესებით, რასაც მივყავართ თირკმელების მწვავე დაზიანებამდე. გულის მწვავე უკმარისობა შესაძლოა მიმდინარეობდეს<sup>75</sup>:

- ჰიპერტენზის ფონზე განვითარებული ფილტვების შეშუპებით, როდესაც შენახულია მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქცია;
- მწვავე, დეკომპენსირებული შეგუბებითი გულის უკმარისობით (ADCHF);
- კარდიოგენული შოკით.

მექანიზმი, რომლითაც გულის მწვავე უკმარისობა იწვევს თირკმელების მწვავე დაზიანებას, მეტად რთული და მრავალმხრივია<sup>76</sup>. თირკმელების ფუნქციის გაუარესება არის არა მხოლოდ დაავადების სიმძიმის მაჩვენებელი, არამედ განაპირობებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დისფუნქციის გაუარესების აქსელერაციას, სავარუდოდ ანთებითი გზების აქტივაციის წყალობით<sup>77</sup>. დაბალი წუთმოცულობა და/ან მაღალი ვენური წნევა, რაც იწვევს რენულ შეგუბებას, მეტი ალბათობით წარმოადგენს თირკმელების მწვავე დაზიანების განვითარების ძირითად მიზეზს<sup>78</sup>.

ასეთ სიტუაციაში, რეაქცია დიურეტიკებზე შესაძლოა დარღვეული იყოს და გამოვლინდეს შეგუბებითი მდგომარეობა (პერიფერიული ედემა, სხეულის ჭარბი წონა, მაღალი ცენტრალური ვენური წნევა) მნიშვნელოვან ჰიპონატრემიასთან ერთად<sup>79</sup>. გამოვლენილი მოცულობითი გადატვირთვის დროს შარდმდენები უნდა დაინიშნოს დიურეზის ეტაპობრივი ზრდის მიღწევით, მეტ-ნაკლებად ოპტიმალური ჰიდრატაციული სტატუსის მიღწევამდე, ელექტროლოიტური დარღვევების კორეგირების პარალელურად<sup>80 81</sup>. ბიომარკერები, როგორიცაა B-ტიპის ნატრიურეზული პეპტიდი (BNP), ტექნოლოგიურ საშუალებებთან ერთად, როგორიცაა ბიომარკედანსური ვექტორული ანალიზი (BIVAs), შესაძლოა დაგვეხმაროს ჭარბი ჰიდრატაციის ხარისხის შეფასებაში, რაც თავის მხრივ გვეხმარება დიურეტიკებით და ულტრაფილტრაციით (SCUF) მკურნალობის

ტაქტიკის განსაზღვრაში ადეკვატური პიდრატაციული სტატუსის მიღწევის მიზნით  
11-14.

გულის უკმარისობის და მისი მკურნალობის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გართულება არის პიპონატრემიის განვითარება <sup>82</sup> <sup>83</sup>. პიპონატრემია ვითარდება არგინინ ვაზოპრესინის (AVP) არაოსმოსური გამოყოფის, რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის ნეიროპორმონალური აქტივაციის და სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივაციის გამო <sup>84</sup>. გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში განვითარებული პიპონატრემია დაკავშირებულია არაკეთილსაიმედო პროგნოზთან და დიურეტიკების გამოყენების შეზღუდვასთან <sup>85</sup>.

AVP ანტაგონისტები, რომლებსაც „ვაპტანები“ ეწოდებათ, აუმჯობესებებინ პლაზმის ნატრიუმის კონცენტრაციას, შარდის გამოყოფას, სხეულის წონას და ცნობიერების სტატუსს, თუმცა არ აჩვენებენ ხანგრძლივ სარგებელს სიკვდილობის შემცირების თვალსაზრისით გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში <sup>86</sup> <sup>87</sup>.

პიპერკალემით, ან მის გარეშე მიმდინარე თირკმელების მწვავე დაზიანებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საბოლოო გამოსავალზე, რადგან ამ დროს საჭირო ხდება ანგიოტენზინის გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორების და ალდოსტერონის ბლოკერების დანიშვნის შეზღუდვა <sup>88</sup> <sup>89</sup>. ამ ტიპის პრეპარატების სარგებლობა კი გულის უკმარისობის და მოკარდიუმის ინფარქტის დროს მრავალი რანდომიზებული კონტროლირებული კვლევით არის დადასტურებული <sup>90</sup> <sup>91</sup> <sup>92</sup>.

## 1.12. II ტიპის კარდიო-რენული სინდრომი

II ტიპის, ანუ ქრონიკული კარდიო-რენული სინდრომი ხასიათდება გულის ფუნქციის ქრონიკული დარღვევით (მაგალითად, გულის ქრონიკული შეგუბებითი უკმარისობა) გამოწვეული პროგრესიონებადი თირკმელების ქრონიკული დაავადებით. გულის უკმარისობის ფონზე მიმდინარე თირკმელების ფუნქციის მზარდი გაუარესება (WRF) დაკავშირებულია გართულებების სისშირის მატებასთან და პოსპიტალიზაციის საჭიროების ხანგრძლივობის ზრდასთან <sup>15</sup>.

გულის უქმარისობის დროს თირკმელების ფუნქციის დარღვევა დაახლოებით 25 %-ში აღინიშნება <sup>93</sup>. მიჩნეულია, რომ გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის მცირედით შემცირებაც კი იწვევს სიკვდილობის რისკის მნიშვნელოვან ზრდას <sup>94</sup>. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თირკმელების ფუნქციის მზარდი გაუარესება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს გულ-სისხლძარღვთა გენერალიზებული დაავადების სიმძიმის ამსახველ მარკერად <sup>95</sup>.

გულის ქრონიკული უქმარისობა ხასიათდება თირკმელების პერფუზიის ხანგრძლივი შემცირებით, რასაც ხშირად წინ უსწრებს ის მიკრო და მაკროანგიოპათიები, რომლებიც ასევე ასოცირებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკთან <sup>96</sup> <sup>97</sup>. ნეიროპორმონული დარღვევები გამოიხატება ვაზოკონსტიქტორების (ეპინეფრინი, ანგიოტენზინი, ენდოთელინი) ჭარბი გამომუშავებით და ენდოგენური ვაზოდილატატორების (ნატრიურეზული პეპტიდები, აზოტის ოქსიდი (NO)) მიმართ დარღვეული მგრძნობელობით <sup>98</sup>. ბოლო დროს გამოიკვეთა სამეცნიერო ინტერესი ერითროპოეტინის (EPO) შედარებითი ან სრული დეფიციტის პათოგენური როლის მიმართ, რომელიც განაპირობებს გამოხატული ანემის განვითარებას და გულის და თირკმელების ნეგატიური ურთიერთქმედების მანკიერი წრის შექმნას <sup>99</sup> <sup>100</sup>.

EPO-ს დანიშვნა გულის ქრონიკული უქმარისობით, თირკმელების ქრონიკული დაავადებით და ანემით დაავადებულ პაციენტებში, აუმჯობესებს გულის ფუნქციას, იწვევს მარცხენა პარკუჭის ზომის და BNP-ს დონის შემცირებას <sup>101</sup> <sup>102</sup>. რკინის პრეპარატების ინტრავენურმა ინფუზიამ ასევე შესაძლებელია ხელი შეუწყოს ერითროპოეზის პროცესის დარეგულირებას <sup>103</sup> <sup>104</sup> <sup>105</sup>.

კარდიო-რენული სინდრომის ამ ტიპის დროს, გულის უქმარისობის ბიომარკერების, GFR-ის და პაციენტის “ფლუიდ სტატუსის” (Fluid status) განსაზღვრა წარმოადგენს ადეპატური მართვის ქვაკუთხედს <sup>106</sup> <sup>107</sup> <sup>108</sup> <sup>109</sup>. უფრო სპეციფიური ბიომარკერების გამოყენება, როგორებიცაა ნეიტროფილურ ჟელატინაზათან ასოცირებული ლიპოკალინი (NGAL), თირკმელების დაზიანების მოლეკულა 1 (KIM-1) და კოპეპტინი (CT-proAVP) შესაძლოა სასარგებლო იყოს

ორგანოთა ქსოვილების მწვავე იშემიური ან ტოქსიური დაზიანების გამოვლენის თვალსაზრისით <sup>110</sup> <sup>111</sup>. მეორე მხრივ, ფიბროზის ბიომარკერების განსაზღვრა (active matrix metalloproteinase 2, active matrix metalloproteinase 9, total tissue inhibitor of metalloproteinase 1) შესაძლოა დაგვეხმაროს ორგანოთა ქრონიკული დაზიანების პროგრესირების შეფასებაში <sup>112</sup> <sup>113</sup>.

### 1.1.3. III ტიპის კარდიო-რენული სინდრომი

III ტიპის კარდიო-რენული სინდრომი, ანუ მწვავე რენო-კარდიული სინდრომი, ხასიათდება თირკმელების ფუნქციის პირველადი მწვავე გაუარესებით (მაგალითად, თირკმელების მწვავე დაზიანება, იშემია, გლომერულონეფრიტი), რაც თავის მხრივ იწვევს, ან ხელს უწყობს გულის მწვავე დაზიანებას და/ან დისფუნქციას (მაგალითად, გულის უკმარისობა, არითმია, იშემია) <sup>114</sup>.

თირკმელების მწვავე დაზიანება გულ-ხისხელძარღვთა სისტემაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა გზით. კერძოდ, ოლიგურიას შეუძლია გამოიწვიოს მოცულობითი გადატვირთვა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ფილტვების შეშუპების და მიოკარდიული დისფუნქციის განვითარებას <sup>115</sup>. ასეთ სიტუაციაში, ოპტიმალური ჰიდრატაციული სტატუსის მიღწევის მიზნით შესაძლოა საჭირო გახდეს თირკმელების ჩანაცვლებითი თერაპია <sup>116</sup> <sup>117</sup>. დიალიზის შედეგად განვითარებული სითხის და ელექტროლიტების დონის მკვეთრი ცვლილება შესაძლოა გახდეს კარდიოგასტულური არასტაბილურობის მიზეზი, რაც გამოიხატება ჰიპოტენზიის, არითმიების და მიოკარდიუმის იშემიის განვითარებით <sup>118</sup> <sup>119</sup>. თირკმელების ჩანაცვლებითი თერაპიის უწევები მეთოდები (დიალიზი ან ფილტრაცია - Continuous renal replacement therapies (CRRTs)), რომლებსაც მინიმუმადე დაჰყავს ასეთი კარდიოგასტულური გართულებები, მიზნეულია უფრო უსაფრთხოდ და ლოგიკურად ასეთ სიტუაციაში <sup>120</sup> <sup>121</sup> <sup>122</sup>.

## 1.14. IV ტიპის კარდიო-რენული სინდრომი

IV ტიპის კარდიო-რენული სინდრომი, ანუ ქრონიკული რენო-კარდიული სინდრომი, ხასიათდება თირკმელების პირველადი ქრონიკული დაავადებით (მაგალითად, ქრონიკული გლომერულუროპათია), რაც ხელს უწყობს გულის ფუნქციის გაუარესებას, პარკუჭების პიპერტროფიის და დიასტოლური დისფუნქციის განვითარებას, და/ან კარდიოვასკულური გართულებების რისკის ზრდას <sup>123</sup>. ასეთ სიტუაციაში, ხშირად აღინიშნება მუდმივი მოცულობითი გადატვირთვა და დიურეტიკების გამოყენების ხანგრძლივი ანამნეზი <sup>124</sup>. BNP-ის მატება ხშირად მუდმივ ხასიათს ატარებს და ამიტომ, განსხვავება „სველ“ და მშრალ“ კომპონეტებს შორის გადამწყვეტ როლს თამაშობს გულის უკმარისობის დიაგნოსტირების და კლასიფიცირების თვალსაზრისით <sup>14 21</sup>.

თირკმელების ეროვნული ფონდი (NKF) განსაზღვრავს თირკმელების ქრონიკული დაავადების 5 სტადიას, რაც ეფუძნება თრკმელების დაზიანების სიმძიმის და გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის კომბინაციას. თირკმელების ქრონიკული დაავადება განისაზღვრება, როგორც თირკმელების მუდმივი დაზიანება (დადასტურებული ბიოფსიით ან თირკმელების დაზიანების ბიომარკერებით) და/ან გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის შემცირებით  $< 60\text{მლ}/\text{წთ}$  1,72<sup>22</sup> 3 თვეზე მეტი ხნით <sup>125</sup>. მიჩნეულია, რომ თირკმელების ფუნქციის გაუარესება ამ დონემდე ან კიდევ უფრო დაბლა, ასახავს თირკმელების ნორმალური ფუნქციის დაქვეითებას 1/2-ით ან მეტად, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს გართულებების განვითარებას, როგორებიცაა გულ-ხისხლძარღვთა დაავადებები და სხვ. <sup>126</sup>.

თირკმელების ქრონიკული დაავადება არის გულ-ხისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი: თირკმელების ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ პირებს აქვთ კარდიული სიკვდილობის 10 და 20-ჯერ მეტი რისკი, ასაკით და სქესით შესაბამის საკონტროლო ჯგუფებთან შედარებით თირკმელების ქრონიკული დაავადების გარეშე <sup>127</sup>.

### 1.15. V ტიპის კარდიო-რენული სინდრომი

V ტიპის კარდიო-რენული სინდრომი, ანუ მეორადი კარდიო-რენული სინდრომი, ხასიათდება თირკმელების და გულის კომბინირებული დისფუნქციით, გამოწვეული მწვავე ან ქრონიკული დაავადებებით <sup>128 129</sup>. მთელ რიგ მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს შეუძლიათ გამოიწვიონ ორივე ორგანოთა სისტემის ერთდროული დაზიანება, სადაც ერთის დაზიანება გავლენას ახდენს მეორეზე და პირიქით <sup>130</sup>. მწვავე დაავადებათაგან, ორივე ორგანოთა სისტემის დისფუნქციის განვითარების ყველაზე ხშირი და საყურადღებო მიზეზი არის მძიმე სეფსისი. ქრონიკულ დაავადებათაგან კი, შაქრიანი დიაბეტი წარმოადგენს გულის და თირკმელების კომბინირებული დისფუნქციის ყველაზე ხშირ მიზეზს <sup>20 22</sup>.

კარდიო-რენული სინდრომის ყველა ზემოთჩამოთვლილი ტიპის დროს, კარდიული და რენული ბიომარკერების განსაზღვრა საშუალებას აძლევს კლინიცისტ ექიმებს დასვან კარდიო-რენული სინდრომის დიაგნოზი და დაიწყონ ადრეული და გარკვეულწილად, უფრო უფერტური მკურნალობა <sup>131</sup>. კრეატინინის და დიურეზის მონაცემებზე დაყრდნობით თირკმელების მწვავე დაზიანების (AKI) დიაგნოსტირება და მისი სიმძიმის შეფასება კლინიკურ პრაქტიკაში დღეისათვის სირთულეს არ წარმოადგენს <sup>132</sup>. თირკმელების ქრონიკული დაავადების (CKD) ან თირკმელების ფუნქციის დარღვევის შეფასება ხდება გლომერული ფილტრაციის სიჩქარის (GFR) და შრატის კრეატინინის დონის მიხედვით. ორივე შემთხვევაში, ორგანოთა დაზიანების ადრეული დიაგნოსტირება და პროგრესირების ზედმიწევნითი შეფასება გაადგილებულია სპეციფიური ბიომარკერების განსაზღვრით, თუ უზრუნველყოფილია მათი ხელმისაწვდომობა <sup>133</sup>. ეს ბიომარკერები გვიჩვენებს თირკმელების დაზიანებას მანამ, სანამ ის გამოვლინდება გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის შემცირებით. BNP არის გულის უკმარისობის ყველაზე ღირებული და ამავე დროს ხელმისაწვდომი ბიომარკერი, ხოლო NGAL-ის განსაზღვრა კი ინფორმატიულია თირკმელების მწვავე დაზიანების დროს <sup>134 135</sup>. გულის უკმარისობის შემთხვევაში, ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები და ალგორითმები გულის უკმარისობის დიაგნოსტირებისათვის, რაც ეფუძნება

როგორც ანამნეზის და ფიზიკური გასინჯვის მონაცემებს, ასევე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების შედეგებს<sup>136</sup>. ამ შემთხვევაშიც ხელმისაწვდომია ბიომარკერების განსაზღვრა, გულის პუნთის იშემის გამოვლენის და გულის უკმარისობის ხარისხის შეფასების მიზნით<sup>137</sup>.

### 1.1.6. მკურნალობა

თირკმელების დისფუნქციით და მოცულობითი გადატვირთვით დამძიმებული და შარდმდენების მიმართ რეფრაქტორული გულის უკმარისობის მქონე პაციენტების მართვა მეტად რთული პროცესია. ეფექტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული თერაპიული მიდგომები არ არსებობს. პოტენციურ სარგებელს და ზიანს შორის კომპრომისის მოსაძებნად ექიმები ხშირად იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესაძლოა ურთიერთგამორიცხავადაც კი მოგვეჩვენოს. ასეთ სიტუაციაში მკურნალობის პროცესი ხშირად რთულდება სტანდარტული მკურნალობის (შარდმდენები და ინოტროპები) მიმართ რეზისტენტობის განვითარებით, რაც არაკეთილსამედო პროგნოზს განაპირობებს<sup>138</sup> <sup>139</sup> <sup>140</sup>.

იმ მრავალ დარღვევათა შორის, რომლებიც კარდიო-რენული სინდრომის დროს აღინიშნება, სითხით გადატვირთვა წარმოადგენს მთავარ კლინიკურ პრობლემას, რომელიც საჭიროებს ზუსტ შეფასებას და მკურნალობას<sup>141</sup> <sup>142</sup>. ჭარბი პიდრატაცია, პორმონალური დარღვევებით გამოწვეულ ელექტროლიტურ დისბალანსთან (მაგალითად, პიპონატრეჟმია) ერთად, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კლინიკურ მდგრმარეობას, რომელიც საჭიროებს დროულ დიაგნოსტიკებას და კორექციას<sup>143</sup> <sup>144</sup>. ვაზოპრესინის ჭარბი, არა-ოსმოსური გამოყოფა არის პიპონატრეჟმიის განვითარების მთავარი ეტიოლოგიური ფაქტორი გულის უკმარისობის დროს<sup>145</sup> <sup>146</sup> <sup>147</sup>. I ტიპის კარდიო-რენულ სინდრომზე საუბრისას ნახსენები იყო ვაზოპრესინის V2 რეცეპტორების ანტაგონისტები, ე.წ. ვაპტანები, რომლებიც აუმჯობესებენ პლაზმის ნატრიუმის კონცენტრაციას და ზრდიან შარდის გამოყოფას, თუმცა, ისინი არ აჩვენებენ სარგებელს პოსპიტალიზაციის და სიკვდილობის შემცირების თვალსაზრისით გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში<sup>148</sup> <sup>149</sup>.

შეგუბებითი მოვლენების არსებობისას მკურნალობის პროცესში წამყვანი როლი მარყუჟოვან შარდმდენებს ენიჭებათ. დიურეზის გაძლიერებით შესაძლებელია არა მხოლოდ მოცულობითი გადატვირთვის, არამედ გულის პარკუქების დილატაციის შემცირება და მიოკარდიუმის ფუნქციის გაუმჯობესება მიოკარდიუმის კედლებზე სტრესის, ენდო-მიოკარდიული იშემიის და ფუნქციური მიტრალური რეგურგიტაციის შემცირების ხარჯზე. ასევე, მარყუჟოვანი შარდმდენების გამოყენებისას მოსალოდნელია თირკმელების ფუნქციის თანდათანობითი გაუმჯობესება ნეიროპორმონალურ აქტივაციაზე გავლენის შედეგად<sup>150</sup>. მკურნალობას ხშირად ამატებენ თიაზიდურ დიურეტიკებსაც, მაგალითად მეტოლაზონს, თუმცა ამ დროს მატულობს აზოტემიის და ელექტროლიტური დარღვევების განვითარების რისკი<sup>151</sup>.

ინოტროპების გამოყენება შეზღუდულია ისეთი პოტენციური გვერდითი ეფექტების განვითარების გამო, როგორებიცაა ჰემოდინამიკური დარღვევები და არითმიები<sup>152</sup>. აგრეთვე, რანდომიზებული და რეტროსპექტიული პკლევებით გამოვლენილია მკაფიო ასოციაცია ინოტროპების გამოყენებასა და ავადობის და სიკვდილობის გაზრდილ მაჩვენებლებთან<sup>153 154 155</sup>. შარდმდენების ადექვატური დოზებით მკურნალობისას არასაკმარისი ეფექტის მიღებისას შასაძლოა ინოტროპული აგენტების (დოპამინი, ლობუტამინი, ფოსფოდიესტერაზას ინჰიბიტორები და ლევოსიმენდანი) მცირე დოზებით დამატება დიურეზის გაუმჯობესების მიზნით, მხოლოდ ხანმოკლე ეფექტის მისაღებად. როგორც უკვე აღინიშნა, მთელი რიგი კვლევები ადასტურებს, რომ კარდიო-რენული სინდრომის დროს გულის წუთმოცულობის გაზრდა არ უკავშირდება თირკმელების ფუნქციის გაუმჯობესებას<sup>156</sup>. დოპამინის მცირე, ანუ “თირკმლის დოზით” (2–4 მგგ/კგ/წთ) გამოყენება მიღებულია თირკმელების მწვავე დაზიანების პრევენციის ან მკურნალობის მიზნით. ამ დოზებით ინფუზიისას დოპამინი ააქტიურებს A1 რეცეპტორებს, რაც იწვევს რენული არტერიების დილატაციას და თირკმელების სისხლმომარაგების გაზრდას. უფრო მაღალი დოზებით ინფუზიისას დოპამინი ააქტიურებს β1 და β2 ადრენერგულ რეცეპტორებს, რაც იწვევს გულის წუთმოცულობის გაზრდას. შესაბამისად, დოპამინით მკურნალობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მის ზუსტ დოზირებას ენიჭება, რაც ხშირად არ არის ადვილი

ამოცანა – რთულია იმ ოპტიმალური დოზის განსაზღვრა, რაც იწვევს თირკმელების სისხლმომარაგების მაქსიმალურად გაზრდას<sup>157 158</sup>.

მწვავე დეკომპენსირებული გულის უკმრისობით პოსპიტალიზირებულ პაციენტებში ხშირად ნიშნავენ გაზოდილატატორებს (ნიტროგლიცერინი, ნატრიუმის ნიტროპრუსიდი, ნეზირიტიდი) თირკმელების სისხლმომარაგების გაზრდის მიზნით. თუმცა, მიუხედავად გულის წუთმცულობის ზრდისა, მათ ძალზედ მცირე ეფექტი აქვთ RBF-ს მატებაზე<sup>159 160 161</sup>.

მიჩნეულია, რომ ადენოზინი არის WRF-ის დიურეტიკების მიმართ რეზისტენტობის მნიშვნელოვანი ინტრა-რენული მედიატორი. ადენოზინ-ტრიფოსფატის ჰიდროლიზაცია უქსტრაცელულარულ სივრცეში გამოიყოფა თავისუფალი ადენოზინი, რომელიც მოქმედებს A1 რეცეპტორებზე და იწვევს აფერენტული არტერიოლების კონსტრიქციას, რაც თავის მხრივ იწვევს RBF-ს და GFR-ის შემცირებას და რენინის გამოყოფის სტიმულირებას. ამასთან ერთად, A1 რეცეპტორების აქტივაცია აძლიერებს ნატრიუმის რეაბსორბციას პროქსიმალურ და დისტალურ მილაკებში, რაც იწვევს ნატრიუმის და სითხის შეკავებას<sup>162</sup>.

ადენოზინის A1 რეცეპტორების ანტაგონისტ როლოფილინზე (Rolofylline) ჩატარებულმა მცრე კვლევამ აჩვენა, რომ გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში მისი გამოყენება უკავშირდებოდა დიურეზის და GFR-ის ზრდას<sup>163 164</sup>. თუმცა, უფრო დიდმა, 2033 პაციენტზე ჩატარებულმა კვლევამ არ დაადასტურა მისი უპირატესობა პლაცებოსთან შედარებით<sup>165</sup>.

ულტრაფილტრაცია არის მკურნალობის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მოცულობითი გადატვირთვის დროს ორგანიზმიდან ჭარბი სითხის მოცილების მიზნით. ყველაზე პრაქტიკულად მიიჩნევა ვენო-ვენოზური ულტრაფილტრაცია, როდესაც ვენური სისხლი გაივლის ექსტრაკორპორალური ფილტრაციის აპარატში. ულტრაფილტრაციას შეუძლია სისხლიდან სითხის მოცილება იმ სიჩქარით, რა სიჩქარითაც სითხე ქსოვილებიდან სისხლში გადადის. თუმცა, ზედმეტად აგრესიულმა ულტრაფილტრაციამ შესაძლოა გამოიწვიოს პეოდინამიკური არასტაბილურობა და თირკმელების ფუნქციის გაუარესება<sup>166 167</sup>.

დიურეტიკების გამოყენებასთან შედარებით ულტრაფილტრაციის უპირატესობებია<sup>168</sup>:

- სითხის სწრაფად მოცილება და სიმპტომების სწრაფი გაუმჯობესება;
- იგივე მოცულობის სითხის მოცილებასთან ერთად მეტი ნატრიუმის გამოყოფა;
- ელექტროლიტური დისბალანსის განვითარების ნაკლები რისკი (მაგალითად, ჰიპოკალემია);
- ნეიროპორმონალური აქტივაციის არარსებობა;
- დიურეტიკების მიმართ მგრძნობელობის პოტენციური აღდგენა;
- პოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის და რეპოსპიტალიზაციის შემთხვევების შემცირება;
- თირკმელების ფუნქციის მზარდი გაუარესების თავიდან აცილება.

## 1.2. გულის უკმარისობა

გულის უკმარისობა (HF) არის კომპლექსური კლინიკური სინდრომი, რომელსაც იწვევს სისხლის პარკუჭოვანი შევსების ან განდევნის როგორც სტრუქტურული, ასევე ფუნქციური დარღვევა. გულის უკმარისობის ძირითადი გამოვლინება არის ქოშინი და დაღლილობის შეგრძნება, რაც უკავშირდება დატვირთვის მიმართ ტოლერანტობის შემცირებას და სითხის შეკავებას, რამაც თავის მხრივ შესაძლოა მიგვიყვანოს შეგუბებით მოვლენებამდე ფილტვებში და/ან მუცლის ღრუში და/ან პერიფერიულ შეშუპებამდე<sup>169</sup> <sup>170</sup>.

ზოგიერთ პაციენტს აღენიშნება დატვირთვის მიმართ ტოლერანტობის დარღვევა გამოხატული შეგუბებითი მოვლენების გარეშე, მაშინ როდესაც სხვა პაციენტებს აღენიშნებათ შეგუბების, ქოშინის და დაღლილობის მკვეთრად გამოხატული სიმპტომატიკა<sup>171</sup>. იმ შემთხვევებში, როდესაც მოცულობითი გადატვირთვის ნიშნები გამოხატული არ არის, უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ტერმინი გულის უკმარისობა, ნაცვლად გულის შეგუბებითი უკმარისობისა (CHF)<sup>172</sup>. არ არსებობს გულის უკმარისობის ერთი დიაგნოსტიკური ტესტი, რადგან მეტწილად HF არის

კლინიკური დიაგნოზი, რომელიც ეფუძნება ანამნეზის და ფიზიკური გასინჯვის შედეგებს <sup>173</sup>.

გულის უკმარისობის კლინიკური სინდრომი შესაძლოა განვითარდეს პერიკარდიუმის, მიოკარდიუმის, ენდოკარდიუმის, გულის სარქველების, მაგისტრალური სისხლძარღვების დაზიანების და მეტაბოლური დარღვევების შედეგად, თუმცა, HF-ს მქონე პაციენტების უმეტესობას აღენიშნება მარცხენა პარკუჭის მიოკარდიული დისფუნქცია <sup>174</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ HF არ არის კარდიომიოპათიის ან მარცხენა პარკუჭის დისფუნქციის სინონიმი. ეს უკანასკნელი ასახვან იმ სტრუქტურულ თუ ფუნქციურ დარღვევებს, რომლებიც შესაძლოა გულის უკმარისობის განვითარების მიზეზი გახდეს <sup>175</sup> <sup>176</sup>.

ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის ფონდის და ამერიკის გულის ასოციაციის (ACCF/AHA) 2013 წლის გულის უკმარისობის მართვის გაიდლაინი განსაზღვრავს გულის უკმარისობას შენარჩუნებული განდევნის ფრაქციით (HFPEF) და გულის უკმარისობას დაქვეითებული განდევნის ფრაქციით (HFREF) <sup>177</sup>:

კლასიფიკაცია	EF (%)	განმარტება
I. გულის უკმარისობა დაქვეითებული განდევნის ფრაქციით (HFREF)	≤40	ასევე უწოდებენ სისტოლურ გულის უკმარისობას. რანდომიზირებული კონტროლირებული კვლევები ძირითადად მოიცავს პაციენტებს (HFREF)-ით და ეფექტური თერაპია დღეისთვის მეტწილად ხელმისაწვდომია ამ კატეგორიისთვის
II. გულის უკმარისობა შენარჩუნებული განდევნის ფრაქციით (HFPEF)	≥50	ასევე უწოდებენ დიასტოლურ გულის უკმარისობას <sup>178</sup> . HFPEF-ს გასაზღვრისთვის შემუშავებულია რამოდენიმე სხვადსხვა კრიტერიუმი. დიაგნოსტირება არ არის მარტივი, რადგან საჭიროებს იმ არაპარდიული მიზეზების გამორიცხვას, რომლებიც ასევე შესაძლოა იწვევდნენ გულის უკმარისობის მსგავს სიმპტომებს. ამ დროისთვის, ეფექტური მკურნალობა არ არის განსაზღვრული
a. HFPEF, მოსაზღვრე	41-დან	ეს პაციენტები თავსდებიან მოსაზღვრე,

	49-მდე	ანუ გარდამავალ კატეგორიაში. მათი დაავადების მიმდინარეობა, მკურნალობის სქემები და გამოსავალი მსგავსია პაციენტებისა HFPEF-ით.
b. HFPEF, გაუმჯობესებული	>40	ამ კატეგორიის პაციენტებს წარსულში ჰქონდათ HFREF. კლინიკური მიმდინარეობა შესაძლოა განსხვავდებოდეს როგორც HFREF-ს, ასევე HFPEF-ს პერსისტირებადი ფორმებისგან. დამატებითი კვლევებია საჭირო ამ კატეგორიის პაციენტების უკეთესად კლასიფიცირების მიზნით

### ცხრილი 1. HFREF და HFPEF დეფინიცია ACCF/AHA მიხედვით

როგორც ამერიკის კარდიოლოგთა კოლეჯის ფონდის და ამერიკის გულის ასოციაციის (ACCF/AHA) გულის უკმარისობის სტადიები, ასევე ნიუ-იორკის გულის ასოციაციის (NYHA) ფუნქციური კლასები, მოიცავენ მრავალმხრივ და სასარგებლო ინფორმაციას გულის უკმარისობის არსებობის და მისი სიმძიმის შესახებ. ACCF/AHA-ს HF სტადიები უფრო ფოგუსირებულია დაავადების განვითარებასა და პროგრესირებაზე და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პიროვნებების და პოპულაციის დახასიათებისათვის, მაშინ, როდესაც NYHA-ს ფუნქციური კლასები ფოგუსირებულია ფიზიკური აქტივობის შესაძლებლობასა და დაავადების სიმპტომურ სტატუსზე<sup>179</sup>:

ACCF/AHA-ს მიერ განსაზღვრული გულის უკმარისობის სტადიები <sup>180</sup>	NYHA-ს მიერ განსაზღვრული ფუნქციური კლასები <sup>181</sup>
<b>A</b> გულის უკმარისობის განვითარების მაღალი რისკი. გულის სტრუქტურული დაავადება ან HF სიმპტომები არ აღინიშნება	არცერთი
<b>B</b> გულის სტრუქტურული დაავადება,	<b>I</b> ფიზიკური აქტივობის

	HF-ის ნიშნები ან სიმპტომები არ აღინიშნება.	შეზღუდვა არ აღინიშნება. ჩვეულებრივი ფიზიკური დატვირთვა არ იწვევს HF სიმპტომების აღმოცენებას
C	გულის სტრუქტურული დაავადება, აღინიშნებოდა ან აღინიშნება HF-სიმპტომები	I ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა არ აღინიშნება. ჩვეულებრივი ფიზიკური დატვირთვა არ იწვევს HF სიმპტომების აღმოცენებას
		II აღინიშნება ფიზიკური აქტივობის მცირედით შეზღუდვა. კომფორტულად გრძნობს თავს მოსვენების მდგომარეობაში, თუმცა, ჩვეულებრივი ფიზიკური დატვირთვა იწვევს HF სიმპტომების აღმოცენებას
		III აღინიშნება ფიზიკური აქტივობის გამოხატული შეზღუდვა. კომფორტულად გრძნობს თავს მოსვენების მდგომარეობაში, თუმცა, ჩვეულებრივი ნაკლები ფიზიკური დატვირთვაც კი იწვევს HF სიმპტომების აღმოცენებას
		IV ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა იწვევს HF სიმპტომების აღმოცენებას ან HF სიმპტომები აღინიშნება მოსვენების მდგომარეობაში
D	რეფრაქტორული HF, რომელიც საჭიროებს სპეციალიზირებულ ინტერვენციებს	IV ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა იწვევს HF სიმპტომების აღმოცენებას ან HF სიმპტომები აღინიშნება მოსვენების მდგომარეობაში

ცხრილი 2. ACCF/AHA სტადიების და NYHA-ს მიერ განსაზღვრული ფუნქციური კლასების შედარება<sup>182</sup>

თერაპიული ინტერვენციები თითოეულ სტადიაზე მიმართულია ცხოვრების წესის მოდიფიცირებაზე (სტადია A), გულის სტრუქტურული დაავადებების მკურნალობაზე (სტადია B), მორბიდობისა და სიკვდილობის შემცირებაზე (სტადია C და D) <sup>183</sup>. NYHA-ს ფუნქციური კლასიფიკაცია წარმოადგენს სიკვდილობის დამოუკიდებელ პრედიქტორს. ეს კლასიფიკაცია ფართოდ გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში და სამეცნიერო კვლევებში, ისევე, როგორც პაციენტების სხვადასხვა მკურნალობის სქემებში ჩართვის განსაზღვრის მიზნით <sup>184 185</sup>.

კლინიკურ პრაქტიკაში ასევე გამოიყენება გულის შეგუბებითი უგმარისობის (CHF) ფრამინგამის კრიტერიუმები (Framingham Criteria) <sup>186</sup>. CHF-ს დიაგნოზი ისმევა იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ორი ძირითადი კრიტერიუმი ან 1 ძირითადი და 2 მცირე კრიტერიუმი:

#### ძირითადი კრიტერიუმები

- პაროქსიზმული დამის ქოშინი
- კისრის ვენების დაჭიმულობა
- სველი ხიხინი
- კარდიომეგალია (რადიოლოგიურად დადასტურებული)
- ფილტვების მწვავე შეშუპება
- გაზრდილი CVP ( $>16$  სმ H<sub>2</sub>O მარჯვენა წინაგულში)
- S3 გალოპი
- ჰეპატო-იუგულარული რეფლუქსი
- წონაში კლება  $>4.5$  kg 5 დღეში მკურნალობის ფონზე

#### მცირე კრიტერიუმები

- ბილატერალური შეშუპება კოჭების არეში
- დამის ხველა
- ქოშინი წვეულებრივ ფიზიკურ დატვირთვაზე
- ჰეპატომეგალია
- სითხის დაგროვება პლევრის ღრუში

- სასიცოცხლო ტევადობის შემცირება ბოლოს დაფიქსირებული მაქსიმუმის მესამედზე მეტად
- ტაქიკარდია  $>120$  დარტყმა/წთ

მცირე კრიტერიუმების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ არის გამოწვეული სხვა სამედიცინო მდგომარეობით (მაგალითად, ფილტვისმიერი ჰიპერტენზით, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით, ციროზით, ასციტით, ან ნეფროზული სინდრომით) <sup>187</sup>.

ფრამინგამის გულის კვლევის (The Framingham Heart Study criteria) კრიტერიუმები ხასიათდება გულის შეგუბებითი უკმარისობის დიაგნოსტიკულის 100%-იანი მგრძნობელობით და 78%-იანი სპეციფიურობით <sup>188</sup> <sup>189</sup>.

გულის უკმარისობის დეფინიცია ეგროპის კარდიოლოგთა საზოგადოების მიერ (ESC) შემდეგნაირად არის წარმოდგენილი (I და II კრიტერიუმის დაკმაყოფილება აუცილებელია) <sup>190</sup> <sup>191</sup>:

- I. გულის უკმარისობის სიმპტომები (დატვირთვის ან მოსვენების დროს)  
და
  - II. გულის კუნთის დისფუნქციის (სისტოლური ან დიასტოლური) ობიექტური დადასტურება (უმჯობესია ექოკარდიოგრაფიით) მოსვენებაში და დატვირთვის ფონზე, როდესაც დიაგნოზი საჭიროა  
და
    - III. ადექვატური პასუხი გულის უკმარისობის წინააღმდეგ მიმართულ მკურნალობაზე

გულის უკმარისობის მკურნალობის მიზნები ეგროპის კარდიოლოგთა საზოგადოების მიერ შემდეგნაირად არის განსაზღვრული <sup>152</sup>:

- I. პრევენცია
  - a) პრევენცია და კონტროლი იმ დაავადებებისა, რომელთაც მივყავართ გულის კუნთის დისფუნქციამდე და გულის უკმარისობის განვითარებამდე;

- b) გულის კუნთის დისფუნქციის შემთხვევაში დაავადების პროგრესირების პრევენცია;
- II. ავადობის შემცირება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;
- III. სიკვდილიანობის შემცირება, სიცოცხლის გახანგრძლივება.

საქართველოში გულის უკმარისობის სიმძიმის შეფასებისათვის ძირითადად გამოიყენება NYHA-ს კლასიფიკაცია, ხოლო დიაგნოსტირებისთვის გამოიყენება ეკროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კრიტერიუმები. აღნიშნულის მიზეზი მეტწილად ალბათ არის ის, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „გულის ქრონკული უკმარისობის დიაგნოსტიკა და მართვა” ეფუძნება როგორც NYHA-ს, ასევე ESC გაიდლაინებს<sup>192</sup>. წარმოდგენილ კვლევაშიც გამოყენებულია NYHA-ს კლასიფიკაცია (იხ.: დანართი 1).

როგორც უკვე აღინიშნა, გულის უკმარისობის დროს ადგილი აქვს სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივაციას და ვაზოკოსტრიქტორების და ნატრიუმის შემაკვებელი ნეოროპორმონების (ანგიოტენზინი II, ნორეპინეფრინი, ენდოთელინი-1 და არგინინ ვაზოპრენინი) ჭარბად გამოყოფას<sup>193</sup>. ეს ნეიროპორმონალური სისტემები თამაშობენ ცენტრალურ როლს როგორც გულის უკმარისობის პათფიზიოლოგიაში, ასევე თირკმელების ფუნქციის მრავალი ასპექტის რეგულირებაში. ამგვარად, გულის უკმარისობის დროს ჭარბი ნეიროპორმონალური აქტივაცია ითვლება კარდიო-რენული სინდრომის ერთ-ერთ მთავარ მედიატორად, თუმცა, ეს კავშირი მკაფიოდ გნესაზღვრული ჯერჯერობით არ არის<sup>194</sup>.

მედიატორი	რენული ეფექტი	წყარო
ანგიოტენზინი II	აფერენტული და ეფერენტული არტერიოლების კონსტრიქცია;	195
ენდოთელინი-1	აფერენტული და ეფერენტული არტერიოლების	196 197

	კონსტრიქცია, რაც განაპირობებს რენული სისხლმომარაგების და გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის შემცირებას;	
ადენოზინი	აფერენტული არტერიოლების კონსტრიქცია; ეფერენტული არტერიოლების დილატაცია; რენული სისხლმომარაგების და გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარის შემცირება; რენინის სეკრეციის დათრგუნვა; ტუბულო-გლომერულური უპეუკავშირის აქტივაცია;	<sup>198</sup>
სიმპათიკური ნერვული სისტემა	ეფერენტული არტერიოლების კონსტრიქცია; რენული სისხლმომარაგების შემცირება; რენინის გამოყოფის გაზრდა იუქსტრა- გლომერულურ აპარატში არსებული β- რეცეპტორების მეშვეობით;	<sup>199</sup>
ნატრიურეზული ჰეპტიდები	აფერენტული არტერიოლების დილატაციის სტიმულაცია და ეფერენტული არტერიოლების კონსტრიქცია, რაც იწვევს გორგლოვანი ფილტრაციის ზრდას; რენინის სეკრეციის დათრგუნვა;	<sup>200 201</sup>

ცხრილი 3. ნეიროპორმონალური სისტემების აქტივაციის ზეგავლენა თირკმელების ჰემოდინამიკაზე გულის უკმარისობის დროს <sup>202</sup>.


### 1.3. თირკმელების დაზიანების მექანიზმი

GFR-ის შემცირების პათფიზიოლოგია HF-ის დროს კომპლექსურია და მოიცავს რამოდენიმე ძირითად ფაქტორს: მიოკარდიუმის სისტოლური და დიასტოლური

ფუნქციის დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს ჰემოდინამიკური დარღვევები, როგორებიცაა შემცირებული დარტყმითი მოცულობა და წუთმოცულობა, არასრული არტერიული ავსება, გაზრდილი წინაგულოვანი წნევა და ვენური შეგუბება<sup>24</sup>. ეს ჰემოდინამიკური დარღვევები ბიძგს აძლევს მთელ რიგ კომპენსატორულ ნეიროპორმონალურ ადაპტაციებს, როგორებიცაა სიმპაtonic ნერვული სისტემის (SNS) და რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის (RAAS) აქტივაცია, სხვადასხვა უჯრედული პროცესები (ოქსიდაციური დაზიანება და ენდოთელური დისფუნქცია), რასაც საბოლოოდ მივყავართ აპოფტოზამდე და რენულ ფიბროზამდე<sup>1 5 25-29</sup>. რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის და სხვა ნეიროპორმონალური სისტემების ეფექტი ვრცელდება არა მხოლოდ სისტემურ ფუნქციებზე, არამედ იმ ინტრა-რენულ კომპონენტებზეც, რომლებიც განაპირობებს თირკმელების ფუნქციის მოდულირებას.

ბოლო წლების განმავლობაში შემუშავდა გულის და თირკმელების დაზიანების ახალი ბიომარკერები, როგორებიცაა: ცისტატინი C, NGAL, KIM-1 (თირკმლის დაზიანების მოლეკულა 1), NAG (N-აცეტილ-β-(D) გლუკოზამინიდაზა), IL-1 8 (ინტერლეიკინ-18), L-FABP (ლიფიდის ცხიმოვანი მჟავების შემაკავშირებელი ცილა), CI (კატალიზური რეაქცია)<sup>30 203</sup>. მოსალოდნელია, რომ ამ ბიომარკერების გამოყენება გააძვილებს CRS-ს ადრეულ დიაგნოსტირებას და მისი ტიპების განსაზღვრას<sup>31</sup>. სამწუხაროდ, აღნიშნული ბიომარკერების გამოყენება ჯერჯერობით არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი<sup>204</sup>.

## კარდიო-რენალი სინდრომი



© George Lotzhanidze

### სურათი 1. თირკმელების და გულის ურთიერთკავშირი კარდიო-რენალი სინდრომის დროს

HF-ს დროს CKD ხშირია და უპარისონდება გაზრდილ სიკვდილობის მაჩვნებელს<sup>32</sup>. თუმცა, არ არის ნათელი CKD-ს გავლენა სიკვდილობაზე დამოკიდებულია თუ არა მარცხენა პარკუტის განვითარების ფრაქციაზე (LVEF). I ტიპის კარდიო-რენალი სინდრომის მექანიზმის ჩამოყალიბება აგრეთვე გართულებულია მთელი რიგი მულტიფაქტორული დაავადებების გამო, რომლებიც ხშირად თან ახლავს გულის უპარისობას<sup>33</sup>. ბოლო დროის გამოკვლევები აჩვენებს, რომ გულის პირველადი და თირკმელების მეორადი დისფუნქციის მქონე პაციენტების მართვა მხოლოდ “შემცირებული ნაკადის” თეორიაზე დაყრდნობით, არ იძლევა სასურველ შედეგებს<sup>34 35</sup>. როგორც ცხოველებზე, ასევე ადამიანებზე ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ინტრა-აბდომინური წნევის (IAP) და ცენტრალური ვენური წნევის (CVP) მატება იწვევს GFR-ის შემცირებას<sup>36-40</sup>. არსებობს მზარდი მტკიცებულება იმისა, რომ თირკმელების ვენური წნევა (RVP) და IAP მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თირკმელების დისფუნქციის პროგრესირებაში

გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში<sup>39 41 42</sup>. კევინ დამანის (Kevin Damman) და თანაავტორების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ CVP ასოცირებულია თირკმელების ფუნქციის გაუარესებასთან და დამოუკიდებლად უკავშირდება ყველა მიზეზით გამოწვეულ სიკვდილობას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების ფართო სპექტრში<sup>41</sup>. კვლევის მიხედვით, რენული სისხლმომარაგება (RBF) არის მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს GFR-ს გულის დისფუნქციის მქონე პაციენტებში. თუმცა, ვენური შეგუბება, რომელიც ხასიათდება გაზრდილი მარჯვენა წინაგულის წნევით (RAP), ასევე უკავშირდება GFR-ს. მკურნალობა მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ თირკმელების პერფუზიის გაზრდისკენ, არამედ ვენური შეგუბების შემცირებისკენ. კვლევა განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ ის მოიცავდა პაციენტებს ფილტვისმიერი ჰიპერტენზიით, რომელთაც აღნიშნებოდათ მეტწილად მარჯვენაპარკუჭოვანი უკმარისობა<sup>41</sup>.

ჰეიკო უთოფტის (Heiko Uthofft) და თანაავტორების მიერ ჩატარებულმა კვლევამ უფრო განამტკიცა მოსაზრება, რომ CVP არის მნიშვნელოვანი პერიოდინამიკური ფაქტორი თირკმელების ფუნქციის გაუარესებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უკავშირდება დაქვეითებულ წუთმოცულობას<sup>42</sup>. აღნიშნული კვლევის მიხედვით, გულის მწვავე უკმარისობის დროს, დაბალი სისტოლური არტერიული წნევა (SBP) და მაღალი CVP განაპირობებს eGFR-ის შემცირებას. თუმცა, დაბალი CVP-ც შესაძლოა უკავშირდებოდეს თირკმელების ფუნქციის გაუარესებას მცირე ხნით. აღსანიშნავია, რომ კვლევისას გამოყენებული იყო CVP-ს გაზომვის არა ტრადიციული, არამედ ახალი, არა-ინვაზიური მეთოდი NICVP, რომელიც იყენებს პერიფერიულ ვენას ცენტრალურის ნაცვლად და ეფუძნება კომპრესიული სონოგრაფიის მექანიზმს<sup>205</sup>. ასევე არსებობს NICVP-ის სხვა მეთოდიც, რომელიც ეფუძნება იმპედანსული პლეთიზმოგრაფიის მექანიზმს<sup>206 207</sup>. არცერთი აღნიშნული მეთოდის ვალიდურობის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია<sup>208</sup>.

ალი აჰმედის (Ali Ahmed) და თანაავტორების მიერ განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ CKD-სთან დაკავშირებული სიკვდილობა უფრო მაღალი იყო იმ პაციენტებში, რომლებსაც აღნიშნებოდათ დიასტოლური დისფუნქცია სისტოლურ

HF-სთან შედარებით <sup>43</sup>, დიასტოლური HF, ანუ გულის უკმარისობა შენარჩუნებული განდევნის ფრაქციით (HFPEF) ზოგადად გულის უკმარისობის ყველაზე ხშირი ფორმაა <sup>44-46</sup> (არსებობს მონაცემები, რომ HFPEF-ის ინსიდენტი არის მთლიანად გულის უკმარისობის შემთხვევების 50% <sup>47</sup>). თირკმელების დაზიანების თანხვედრა HFPEF-თან საკმაოდ ხშირია (განსაკუთრებით ასაკოვან ქალებში პიპერტენზიით და/ან დიაბეტით), ასევე, მრავალი შემთხვევა შესაძლოა არ იყოს დიაგნოსტირებული <sup>48</sup>. თირკმელების და გულის ურთიერთკავშირი, რაც პოტენციურად აღრმავებს HFPEF-ს, კომპლექსურია და მოიცავს მოცულობით გადატვირთვას, რენულ პიპერტენზიას, ოქსიდაციურ სტრესს და ანთებით კროცესებს <sup>49 50</sup>.

ზემოთაღნიშნულმა ფაქტებმა, რომლებიც ერთგვარად აკნინებენ დაქვეითებული მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის როლს თირკმელების ფუნქციის გაუარესების პროცესში, მკვლევარები აიძულა ყურადღება მიეპყროთ მარჯვენა პარკუჭისთვის, როგორც შესაძლო ფაქტორისთვის CRS-ის განვითარებაში.

#### 1.4. მარჯვენა პარკუჭის როლი

მარჯვენა პარკუჭის შესწავლის საკითხი და მის შესახებ არსებული ცოდნა ტრადიციულად მნიშვნელოვნად ჩამორჩება მარცხენა პარკუჭისას <sup>51</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მარჯვენამხრივი გულის უკმარისობა (RSHF) ხშირად ვითარდება მარცხენამხრივი გულის უკმარისობის შედეგად, ის დამოუკიდებლადაც შეიძლება განვითარდეს ისეთ კლინიკურ სიტუაციებში, როგორებიცაა: ფილტვისმიერი პიპერტენზია (PH), ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (COPD), გულის თანდაყოლილი დაავდება (CHD), შემაერთებელქსოვილოვანი დაავადება, კორონარული არტერიების დაავადება და გულის სარქველების დაზიანება <sup>209 210</sup>. როდესაც მარჯვენა პარკუჭის ფუნქცია დარღვეულია, ხოლო მარცხენა პარკუჭის ნორმალურია, საუბრობენ იზოლირებულ მარჯვენამხრივ გულის უკმარისობაზე (IRVF) <sup>52</sup>. მონაცემები თირკმლის ფუნქციის დარღვევის შესახებ ასეთ პაციენტებში მწირია და საგარაუდოდ ხშირად არც არის დიაგნოსტირებული <sup>211 212</sup>.

მარჯვენა პარკუჭის დისფუნქცია შესაძლოა თამაშობდეს მნიშვნელოვან და ადრეულ როლს თირკმელების ფუნქციის დარღვევის პათფიზიოლოგიაში<sup>53</sup>, თუმცა, მისი ფუნქციური მდგომარეობის შეფასება პრობლემას წარმოადგენს. ამ დროისთვის არ არსებობს ერთი, საზოგადოდ მიღებული და პრაქტიკაში გამოყენებადი RV ინდექსი<sup>54</sup>. მარჯვენა პარკუჭის რთული ანატომიის გამო, მხოლოდ რამოდენიმე ექსკოპიური პარამეტრია მიჩნეული სარწმუნოდ. TAPSE, ანუ სამკარედიანი სარქვლის რგოლისებრი ზედაპირის სისტოლური ექსკურსია არის ვალიდური პარამეტრი RV ფუნქციის შეფასებისთვის<sup>55</sup>. თუმცა, კლინიკურ პრაქტიკაში მისი განსაზღვრა იშვიათად ხდება. მარჯვენა პარკუჭის ფუნქციურ მდგომარეობასა და მოცულობით გადატვირთვაზე ასევე წარმოდგენას გვიქმნის მარჯვენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური დიამეტრი (RVEDD).

CVP, რომელიც მარჯვენა წინაგულოვანი წნევის (RAP) მიახლოებითი მაჩვენებლია, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს RSHF-ს დიაგნოსტირებისთვის, თუმცა, ყოველთვის გასათვალისწინებელია სხვა გულ-სისხლძარღვოვანი პარამეტრები, მაგალითად, როგორიცაა LVEF, რადგან მარჯვენამხრივი წნევა შესაძლოა ირიბად ასახავდეს მარცხენამხრივ წნევას და მარცხენამხრივი აგსების წნევა შესაძლოა იყოს მარცხენა გულის ფუნქციური მდგომარეობის ნიშანი<sup>56</sup>.


ფრანკ დინი (Frank L. Dini) და თანაავტორებმა შეისწავლეს RV დისფუნქციის და CKD ურთიერთკავშირი გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე ამბულატორიულ პაციენტებში. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი კორელაცია TAPSE-ს და GFR-ს შორის<sup>53</sup>. კვლევის შედეგები აძლიერებს მოსაზრებას, რომ გულის უკმარისობის დროს თირკმელების ფუნქციის გაუარესების პათფიზიოლოგიაში “უკანა” (Backward) უკმარისობით გამოწვეული ვენური შეგუბება შესაძლოა ისევე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც “წინა” (Forward) უკმარისობა. RSHF-ის გამო გაზრდილ თირკმელების ვენურ წნევას შეუძლია GFR-ის შემცირება თირკმელებში ინტერსტიციური და მილაკოვანი ჰიდროსტატიკური წნევის გაზრდის, თირკმელების პერფუზიული წნევის და სისხლის მიდინების შემცირების ხარჯზე. ჰიპოქსია, ისევე როგორც გაზრდილი ვენური წნევით გამოწვეული ლოკალური და სისტემური ნეიროჰორმონალური აქტივაცია კიდევ უფრო ამძიმებს თირკმელების ფუნქციურ მდგომარეობას ამ

პაციენტებში <sup>57</sup> <sup>58</sup>. ოუმცა, მიუხედავად ზემოთაღნიშნული მტკიცებულებებისა, მარჯვენა პარკუჭის როლის შეფასება გაძნელებულია, რადგან: 1) ის ხშირად თანხვდება მარცხენაპარკუჭოვან უკმარისობასთან შენარჩუნებული ან შემცირებული განდევნის ფრაქციით, და 2) თირკმელების ფუნქციის დარღვევას ასევე შეუძლია გაზარდოს მარჯვენა წინაგულის წნევა (RAP) და გამოიწვიოს სითხის შეკავება, მიუხედავად თანმხლები გულის უკმარისობის არსებობისა <sup>41</sup>.

## 1.5. თირკმელების დაზიანება და გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე

მიჩნეულია, რომ გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე ყველაზე კარგად ასახავს თირკმელების ფუნქციურ მდგომარეობას <sup>213</sup>. როგორც ცნობილია, გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე არის სითხის გარკვეული მოცულობა, რომელიც იფილტრება თირკმელების გორგლოვან (გლომერულურ) ბარიერში დროის გარამეულ მონაკვეთში (მლ/წთ). ის განისაზღვრება სტარლინგის ფორმულით (Starling equation):  $GFR = K_f [(P_c - P_b) - (\Pi_c)]$  (იხ.: სურათი 2) <sup>214</sup>. GFR-ის მთავარი ფიზიოლოგიური მოდულატორები არიან აფერენტული და ეფერენტული არტერიოლების რეზისტენტობა: აფერენტული არტერიოლების რეზისტენტობის გაზრდა იწვევს წნევის შემცირებას გორგლოვან აპარატში და შესაბამისად, GFR-ის შემცირებას <sup>215</sup>. ეფერენტულ არტერიოლებსა და GFR-ს შორის კავშირი უფრო კომპლექსურია: ეფერენტული რეზისტენტობის გაზრდა თავიდან იწვევს გლომერულებში წნევის გაზრდას და GFR-ის მომატებას, ხოლო შემდეგ, როდესაც ეფერენტული რეზისტენტობა მატულობს, სისხლის ნაკადი გლომერულებში მცირდება და GFR იკლებს <sup>216</sup>.

$$GFR = K_f [(P_c - P_b) - (\Pi_c)]$$



სურათი 2. გორგლოვანი ფილტრაციის მექანიზმი

გორგლოვანი ფილტრაციის დასადგენად საჭიროა 24 საათის განმავლობაში გამოყოფილ შარდში განისაზღვროს ენდოგენური კრეატინინის საშუალო კლირენსი, ხოლო ვენიდან უზმოზე აღებულ სისხლში - კრეატინინის კონცენტრაცია <sup>217</sup>. თუმცა, კლინიკურ პრაქტიკაში დღეს უფრო ხშირად გამოიყენება გორგლოვანი ფილტრაციის შეფასებითი მაჩვენებელი (eGFR) <sup>218</sup>.

კრეატინინის კონცენტრაციასა და GFR-ს შორის არსებობს უპარაგენირო: კრეატინინის მატება იწვევს GFR-ის შემცირებას. GFR-ზე დაყრდნობით განირჩევა თირკმელების ქრონიკული დაგვადების (CKD) 5 სტადია <sup>219</sup>:

სტადია	GFR	აღწერილობა
<b>1</b>	>90	თირკმელების ფუნქცია ნორმის ფარგლებშია, თუმცა, შარდის მონაცემები და/ან სტრუქტურული ცვლილებები მიანიშნებს თირკმელების დაზიანების არსებობაზე
<b>2</b>	60-89	თირკმელების ფუნქცია მცირედით დაქვეითებულია. სხვა მხრივ, იგივე მდგომარეობაა, როგორც პირველი ხარისხის დროს
<b>3</b>	30-59	თირკმელების ფუნქცია ზომიერად არის დაქვეითებული (საშუალო ხარისხის დისფუნქცია)
<b>4</b>	15-29	თირკმელების ფუნქცია ძლიერ არის დაქვეითებული (მძიმე ხარისხის დისფუნქცია)
<b>5</b>	<15 ან დიალიზი	თირკმელების დაავადების ტერმინალური სტადია (უმძიმესი ხარისხის დისფუნქცია)

ცხრილი 4. CKD 5 სტადია GFR-ის მიხედვით

თრიკმელების მწვავე დაზიანების (AKI) შემთხვევაში GFR-ზე დაფუძნებული კლასიფიკაცია ამ ეტაპისთვის მიღებული არ არის <sup>220 221</sup>. თირკმელების მწვავე დაზიანების ქსელის (AKIN) <sup>††</sup> მიერ მოწოდებული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ეფუძნება შრატის კრეატინინის მატებას  $\geq 0.3$  მგ/დლ ( $\geq 26.4$  მკმლ/ლ), მის პროცენტულ მატებას  $\geq 50\%$  (საწყისი მონაცემიდან 1.5-ჯერ მატება), ან დიურეზის

<sup>††</sup> Acute Kidney Injury Network – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მისიაც არის ინტერნაციონალური და ინტერდისციალინური კვლევითი აქტივობების განხორციელება თირკმელების მწვავე დაზიანების დიაგნოსტიკების, პრევენციის და მკურნალობის სფეროში

შემცირებას (დოკუმენტირებული ოლიგურია  $< 0.5$  მგ/ქგ საათში 6 სთ-ზე მეტ ხანს) <sup>222</sup>.

კარდიო-რენული სინდრომის დროს არსებული თირკმელების ფუნქციის დარღვევის აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება ტერმინი - თირკმელების ფუნქციის მზარდი გაუარესება (WRF) <sup>223 224</sup>. აღნიშნული ტერმინის ქვეშ მეტწილად მოიაზრება გულის მწვავე დეკომპენსირებული უცმარისობის (ADHF) და მწვავე კორონარული სინდრომის (ACS) ფონზე არსებული თირკმელების ფუნქციის მწვავე ან ქვემწვავე გაუარესება, რაც გამოიხატება შრატის კრეატინინის მატებით. კრეატინინის ზღვარი, რის შემდეგაც ხდება WRF-ის დიაგნოსტირება, არის  $\geq 0.3$  მგ/დლ (26.5 მმოლ/ლ) <sup>225 226 227</sup>, თუმცა, რიგ კვლევებში ეს ზღვარი განსაზღვრულია, როგორც  $\geq 0.5$  მგ/დლ <sup>228 229</sup>.

ADHF-ის დიაგნოზით პოსპიტალიზირებული პაციენტების 14-34%-ს აღენიშნება WRF <sup>230</sup>. ასეთი ფართო დიაპაზონი მეტწილად განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვაა თირკმელების ფუნქციის გაუარესების დიაგნოსტირების ზღურბლი და ასევე განსხვავდება დაკვირვების დრო და პოსპიტალიზირებული პაციენტების თირკმელების ფუნქციის საწყისი მდგომარეობა <sup>231 232</sup>. გარდა კრეატინინისა, თირკმელების ფუნქციის შესაფასებლად ასევე გამოიყენება სისხლის შარდოვანა აზოტი (BUN) <sup>233 234</sup>. არსებობს მოსაზრება, რომ ის უფრო ძლიერი მარკერია ვიდრე კრეატინინი, სავარაუდოდ იმიტომ, რომ იმ ნეიროპორმონალური აქტივაციის პარალელურად, რასაც ადგილი აქვს გულის უკმარისობის ფონზე განვითარებული WRF-ს დროს, BUN უფრო კარგად ასახავს გულის უკმარისობის პათფიზიოლოგიურ მექანიზმს <sup>235 236</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ADHF-ს გამო პოსპიტალიზაციის პირველ 48 საათში ცისტატინ C-ს მატება 0.3 მგ/ლ-ზე მეტად მიიჩნევა სიკვდილობის დამოუკიდებელ პრედიქტორად <sup>237</sup>.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული მოსაზრებებისა, თირკმელების ქრონიკული დაავადების მსგავსად, AKI-ს სიმძიმის შეფასებისას ბოლო დროს აქტიურად გამოიყენება eGFR, კერძოდ მისი MDRD ფორმულა <sup>238</sup>.

## 1.6. დასკვნა

მწვავე ან ქრონიკული გულის უპმარისობის მქონე პაციენტებში თირკმელების გაუარესებული ფუნქცია თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვან კლინიკურ პრობლემას წარმოადგენს. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს თირკმელების დაზიანების პათფიზიოლოგია კომპლექსური პროცესია და ბოლომდე შესწავლიდი არ არის. ბოლო დროის კვლევები აჩვენებს, რომ IAP-ის და CVP-ს მატებას, რაც ასევე იწვევს RVP-ს მატებას, მივყავართ GFR-ის შემცირებამდე. LVEF-ის და RSHF-ის მნიშვნელობა CRS-ის დროს არ არის სრულყოფილად შეფასებული.

გულსა და თირკმელებს შორის არსებული ორმიმართულებიანი კავშირის სრულოფილად გააზრება მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვროს ოპტიმალური მკურნალობის სტრატეგიები CRS-ის თითოეული ტიპისთვის, რადგან ერთ ორგანოთა სისტემაზე მიმართულ მკურნალობას შესაძლოა პქონდეს დადებითი, ან პირიქით, უარყოფითი შედეგი მეორე ორგანოთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე.

RSHF-ის შეფასება გართულებულია, თუმცა TAPSE და CVP, რომელიც სავარაუდო RAP-ს ასახავს, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს RSHF-ს დიაგნოსტიკური სთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოყენება აუცილებელია სხვა კარდიო-ვასკულარულ პარამეტრებთან ერთობლიობაში. მიუხედავად ბოლო დროის მონაცემებისა, RSHF-ის როლის შეფასება CRS-ის განვითარებაში საჭმაოდ რთულია, რადგან RSHF ხშირად არის დაკავშირებული მარცხენაპარკუჭოვან უკმარისობასთან და თირკმელების ფუნქციის დაღვევასაც შეუძლია თავის მხრივ RAP-ის მატება სითხის შეკავების ხარჯზე, მიუხედავად თანმხლები გულის უკმარისობის არსებობისა. მეტი კვლევები არის საჭირო მარჯვნაპარკუჭოვან უკმარისობას, CVP-ს და თირკმლის ფუნქციის გაუარესებას შორის კორელაციის დადგენის მიზნით.

## 2. ეთიკური საკითხების გადაწყვეტა

ნებისმიერი ბიოსამედიცინო კვლევა საჭიროებს ეთიკური საკითხების გათვალისწინებას კვლევის პროტოკოლის შემუშავების ფაზაში. თავიდანვე უნდა განისაზღვროს, თუ რა ეთიკური საკითხები შეიძლება წარმოიშვას კვლევის მიმდინარეობისას და როგორ უნდა მოხდეს მათი გადაწყვეტა<sup>239</sup>. პირადი ინფორმაცის კონფიდენციალურობის დაცვა არის ის მთავარი ეთიკური საკითხი, რასაც ხშირად ადგილი აქვს არა-ექსპერიმენტულ კვლევებში<sup>240 241</sup>. ძირითადად ის უკავშირდება პიროვნებების იდენტიფიკაციის და პირადი ინფორმაციის (პიროვნების მაიდუნტიფიცირებელი პირადი მონაცემების) გამჟღავნების საფრთხეს. პროსპექტული კვლევების შემთხვევაში, პაციენტებისგან შესაძლებელია ინფორმირებული თანხმობის მიღება პირადი ინფორმაციის გამჟღავნების ნებართვაზე, თუმცა, რეტროსპექტიული კვლევის დიზაინის გამოყენებისას, რომელიც ტარდება უკვე არსებულ მონაცემებზე, ეს ძალიან რთულია და ხშირად შეუძლებელიც<sup>242 243</sup>. მონაცემთა ანონიმიზაცია შესაძლებელია იყოს გამოსავალი ასეთ სიტუაციაში, სხვა იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც გაწერილია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გაიდლაინებში. საქართველოში სამედიცინო მომსახურების სფეროში სამედიცინო ეთიკისა და ბიოეთიკის მთავარ საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ბიოეთიკის ეროვნული საბჭო, რომლის მიზანიც არის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან, სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტების წარმოჩენა და სათანადო რეკომენდაციების მომზადება.

### 2.1. მიმოხილვა

ბიოსამედიცინო კვლევებში ეთიკური საკითხების გათვალისწინება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო 60-70 წლის მანძილზე. 1942 წელს ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ მერტონ (Robert Merton) შეიმუშავა აკრონიმი CUDOS – სამეცნიერო საქმიანობის გუნდურობა, საზოგადო ღირებულებები, უანგარობა და ორგანიზებული სკეპტიციზმი (Communism, Universalism, Disinterestedness, and Organized Skepticism), რაც იქცა სამეცნიერო ეთიკური ნორმების ქვაკუთხედად<sup>244</sup>.

მას შემდეგ მსოფლიოში შეიქმნა მთელი რიგი მარეგულირებელი დოკუმენტებისა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო დადებით გამოსავალზე ორიენტირებული პრაქტიკული რეკომენდაციების კომპლექსი ბიოსამედიცინო კველვების ერთიანობის შენარჩუნების მიზნით <sup>245</sup>.

საგანმანათლებლო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრის (SIU - Norwegian Centre for International Cooperation in Education) <sup>246</sup> მიერ დაფინანსებულმა პროექტმა “სადოქტორო პროგრამა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში: ნორვეგიის განათლების მესამე საფეხურის გამოცდილება საქართველოსთვის” (Doctoral Programme in Public Health: Norway Experience of Third Cycle Studies for Georgia), საშუალება მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის რამოდენიმე დოქტორანტს ჩართულიყვნენ ნორვეგიის ტრომსოს უნივერსიტეტის (UiT: University of Tromsø - The Arctic University of Norway) სადოქტორო სწავლების პროგრამაში. აღნიშნულმა პროგრამამ დოქტორანტებს, მათ შორის წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომის ავტორს, საშუალება მისცა დეტალურად გასცნობოდნენ ბიოსამედიცინო ეთიკის რეგულაციებს ნორვეგიაში და საერთაშორისო გამოცდილებას აღნიშნულ სფეროში.

წარმოდგენილი სადოქტორო კველვის მაგალითზე ქვემოთ განხილული იქნება იმ ეთიკური საკითხების გადაჭრის გზები, რომლებსაც ზოგადად ადგილი აქვს არა-ექსპერიმენტულ კვლევებში.

## 2.2. პაციენტების პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა

ექსპერიმენტული კვლევებისგან განსხვავებით, არა-ექსპერიმენტულ (ობზერვაციულ-ანალიტიკურ) კვლევებს ზოგადად ნაკლებად ახასიათებს ეთიკასთან დაკავშირებული სირთულეები, თუმცა, მაინც არის საკითხები რაც საჭიროებს კვალიფიციურ გადაწყვეტას <sup>247</sup>. პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა არის ის მთავარი ეთიკური საკითხი, რასაც ხშირად ადგილი აქვს არა-ექსპერიმენტულ კვლევებში. ძირითადად ის უქავშირდება პიროვნებების იდენტიფიკაციის და პირადი ინფორმაციის (პიროვნების მაილენტიფიცირებელი პირადი მონაცემების) გამუდაგნების საფრთხეს <sup>248</sup>. ეს

ინფორმაცია ძირითადად თავმოყრილია სამედიცინო ბარათებში და მოიცავს პაციენტის სქესს, ასაკს, სხეულის მასის ინდექსს და სხვა სპეციფიურ ინფორმაციას, როგორებიცაა ანამნეზი, ფიზიკური გასინჯვის მონაცემები და კვლევების შედეგები. აღნიშნული ჩანაწერები სამედიცინო დაწესებულებებში ინახება ხანგრძლივი დროით (სტაციონარულ დაწესებულებებში 15 წლით, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით) <sup>249</sup>, რაც შესაძლებლობას იძლევა ბიოსამედიცინო კვლევები განხორციელდეს რეტროსპექტიულად. პროსპექტული დიზაინის მქონე კვლევების განხორციელებისას ინფორმირებული თანხმობის მიღება პაციენტებისგან სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა რეტროსპექტიული კვლევების შემთხვევაში ეს ძალზედ რთული, ან შეუძლებელია <sup>250</sup>.

თუ კვლევა საჭიროებს წარსულში ნამკურნალევი პაციენტების სამედიცინო ჩანაწერების რეტროსპექტიულ შესწავლას, მათთან დაკავშირება და ინფორმირებული თანხმობის მოპოვობა მნიშვნელოვნად გაართულებს კვლევის მიმდინარეობას <sup>251</sup>. უფრო მეტიც, პაციენტებთან დაკავშირება და თანხმობის მოპოვება უნდა მოხდეს მკურნალი ექიმების, და არა მკვლევარების მიერ, რადგან მათ არ აქვთ (არ უნდა ჰქონდეთ) წვდომა პაციენტების პირად ინფორმაციასთან. როდესაც მკურნალობის დროს პაციენტებმა ექიმებს მიაწოდეს გარკვეული პირადი ინფორმაცია, მათ ჩათვალეს, რომ ეს ინფორმაცია გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ მკურნალობისათვის და არა კვლევებისთვის <sup>252</sup>. მაშინ მათვის არავის უთქვამს, რომ ოდესმე, შესაძლოა მათი გარდაცვალების შემდეგაც კი, სამდიცინო ჩანაწერები გამოყენებული იქნებოდა ბიოსამედიცინო კველვებისთვის. რა შეიძლება იყოს გამოსავალი ასეთ სიტუაციაში? პასუხი არ არის ცალსახა, თუმცა, შეიძლებელია ვიპოვოთ იმ ეროვნულ და საერთაშორისო ნორმატიულ აქტებში, რომლებიც არეგულირებს ეთიკის საკითხებს მედიცინაში, მათ შორის ბიოსამედიცინო კვლევების დროს. საქართველოში ეს ნორმატიული აქტებია:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 276/6 - ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ <sup>253</sup>

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 128/6 - სამედიცინო ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ<sup>254</sup>
- საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ<sup>255</sup>
- საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ<sup>256</sup>
- საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ<sup>257</sup>
- საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ<sup>258</sup>
- საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი<sup>259</sup>

საერთაშორისო აქტები, რომლებიც რატიფიცირებული აქვს საქართველოს, როგორც ევროსაბჭოს წევრ ქვეყანას:

- ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებების და კეთილდღეობის დაცვის კონვენცია: კონვენცია ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს კონვენცია) (Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, (Oviedo Convention))<sup>260</sup>
- ადამინის უფლებების და ბიომედიცინის დამატებითი პროტოკოლი ბიოსამედიცინო კვლევების შესახებ (Additional Protocol to the Convention on Human Rights and Biomedicine, concerning Biomedical Research)<sup>261</sup>
- ევროპული კონვენცია ხერხემლიანი ცხოველების დაცვის შესახებ ესპერიმენტებში და სხვა სამეცნიერო მიზნით გამოყენების დროს (European Convention for the Protection of Vertebrate Animals used for Experimental and Other Scientific Purposes)<sup>262</sup>

სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც საერთო საქართველოსა და ნორვეგიისათვის:

- მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის პელსინკის დეკლარაცია - ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო კვლევის ეთიკური პრინციპები (World Medical Association Declaration of Helsinki - Ethical Principles for Medical Research Involving Human Subjects)<sup>263 264</sup>

- მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი (World Medical Association - International Code of Medical Ethics) <sup>265</sup>
- ვანკუვერის საზოგადოებრივი კოლეჯის ეთიკის კოდექსი (Vancouver Community College Code of Ethics) <sup>266</sup>

ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს სტრუქტურა და ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით <sup>267</sup>. საბჭოს შესაძლოა მიმართოს მკვლევარმა ინდივიდუალურად, ან იმ სამედიცინო დაწესებულების ეთიკის კომისიამ, სადაც კვლევა უნდა ჩატარდეს. ეთიკის კომისიების არსებობა სამედიცინო დაწესებულებებში სავალდებულოა და განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით <sup>268</sup>. ეთიკის კომისიები შედგება დეპარტამენტის მინიმუმ ერთი ექიმისგან, ექთნის და ადმინისტრაციის თანამშრომლისგან. იურისტის, ეთიკის სპეციალისტის და სასულიერო პირის ჩართვაც შესაძლებელია, თუმცა სავალდებულო არ არის. ეროვნული კანონმდებლობით, სამედიცინო დაწესებულებების ეთიკის კომისიებს აქვთ ვალდებულება დაამტკიცონ ნებისმიერი წარმოდგენილი კვლევა, მიუხედავად დიზაინისა (პროსპექტული, რეტროსპექტიული) და მონაცემთა მიღების გზისა. ეთიკის კომისიებს შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის მიზნით მიმართონ ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოს, თუმცა ამის ვალდებულება არ აქვთ. როგორც უკვე აღინიშნა, ინდივიდუალურ მკვევარებსაც შეუძლიათ მიმართონ ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოს, იქნება ეს სამეცნიერო თუ სტუდენტური კვლევითი პროექტი. უნივერსიტეტებში, სამეცნიერო საბჭოები ახდენენ წარმოდგენილი სამეცნიერო კველვების სამეცნიერო და ეთიკური ასაკებების ზოგად შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოს. ამის შემდგომ, ეთიკური საკითხების შეფასება და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა უკვე იმ სამედიცინო დაწესებულებების ეთიკური კომისიების პასუხისმგებლობაა, სადაც კვლევა უნდა ჩატარდეს.

ნორვეგიაში, უკელა პროექტი რომელიც ჯანმრთელობის კვლევის აქტით (Health Research Act) არის განსაზღვრული, დაწესებამდე დამტკიცებული უნდა იქნეს

მედიცინის და ჯანმრთელობის კვლევის ეთიკის რეგიონული კომიტეტის (REK) ‡-ის მიერ. REK-ის საქმიანობა განსაზღვრულია ნორვეგიის კანონით სამედიცინო კვლევის და ეთიკის შესახებ<sup>269</sup>. კომიტეტებს, რომლებიც შედგება განსხვავებული პროფესიული კომპეტენციის პირებისგან, ნიშნავს განათლების და კვლევის სამინისტრო 4 წლის ვადით. REK-ს აქვს თავისი პორტალი განაცხადის განთავსებისათვის, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ეროვნული ადმინისტრაციული პროცედურების და გაიდლაინების შესახებ, რომ უზრუნველყოფილი იყოს კვლევის განხორციელების უსაფრთხოება და შესაბამისობა კანონმდებლობასთან<sup>270</sup>. უნივერსიტეტებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყონ მათი კვლევითი პროექტების შესაბამისობა ნორვეგიის ჯანმრთელობის კვლევის აქტოან და ნორვეგიის მონაცემთა დაცვის აქტოან<sup>271</sup>. ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ რესურსების მობილიზება ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიმართულებით. დოქტორანტურის სტუდენტებს და სამეცნიერო პროექტის მონაწილეებს უტარდებადათ სრულყოფილი ტრეინინგები იმ სამეცნირო პროექტებთან დაკავაშირებით, რომლებშიც ისინი ერთვებიან და შემდგომაც, პროექტის მიმდინარეობისას, უწყვეტად იღებენ მითითებებს და რეკომენდაციებს. როგორც წესი, პირადი ინფორმაციის გამოყენება კვლევის დროს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს. პირადი ინფორმაცია განმარტებულია ნორვეგიის მონაცემთა დაცვის აქტის მეორე მუხლით<sup>272</sup>. უნივერსიტეტებმა კვლევებში პირადი ინფორმაცია უნდა გამოიყენონ მხოლოდ კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით<sup>273</sup>.

იმისათვის, რომ ეფექტურად იმართოს კონფიდენციალურობის საკითხი არა-ექსპერიმენტულ კვლევებში, აუცილებელია ზემოთაღნიშნული ეთიკური საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიმოხილვა. როგორც საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ და საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ განსაზღვრავს, მკურნალი ექიმები, რომლებიც თავიანთი პციენტების სამედიცინო დოკუმენტაციიდან კვლევისთვის საჭირო ინფორმაციას იღებენ, არ არღვევენ პაციენტის კონფიდენციალურობას, თუ დაცულია პირობა, რომ შედეგები გამოქვეყნდება იმგვარად, რომ შეუძლებელი იქნება პაციენტის იდენტიფიცირება. ექიმების პირადი პასუხისმგებლობაა

<sup>269</sup> Regional Committees for Medical and Health Research Ethics

პაციენტების სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. მიუხედავად ამისა, მათ უნდა წარუდგინონ თავიანთი პალევები სამედიცინო დაწესებულებების ეთიკის კომისიებს განსახილველად, როგორც ამას კანონმდებლობა მოითხოვს.

კონფიდენციალური სამედიცინო ინფორმაციის გამქდავნება უშუალოდ პაციენტის და მისი მკურნალი ექიმის (ექიმების) გარდა სხვა პირებზე დასაშვებია მოხდეს შემდეგ სიტუაციებში:

1. როდესაც პაციენტი იძლევა თანხმობას;
2. როდესაც ამას მოითხოვს კანონი (არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება);
3. როდესაც არის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც პალების ინტერესებიდან გამომდინარე მკვლევარები საჭიროებენ წვდომას სამედიცინო ჩანაწერებთან? ეთიკური პრინციპები დაცული იქნება, თუ:

1. პაციენტებს მიცემული აქვთ თანხმობა მათი სამედიცინო ჩანაწერების პალევისთვის გამოყენებაზე;
2. სამედიცინო ჩანაწერები არის ანონიმური;
3. დაცულია სპეციალური საკომუნიკაციო პროცედურა არა-ანონიმური ინფორმაციის პალევისთვის გამოყენებაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, რეტროსპექტიული კოპორტული ან კროს-სექციული პალევების დროს გამოიყენება უკვე არსებული სამედიცინო ჩანაწერები და ამ დროს ძალიან რთულია პაციენტებისგან ინფორმირებული თანხმობის მოპოვება<sup>274</sup> 275. შესაძლებელიც რომ იყოს, პაციენტებისგან ინფორმირებული თანხმობის მოთხოვნის უფლება მხოლოდ მკურნალ ექიმებს აქვთ, და არ მკვლევარებს<sup>276</sup>. შესაძლებელია თუ არა, მონაცემთა ანონიმიზაცია იყოს გამოსავალი ასეთ სიტუაციაში? თეორიულად, შესაძლებელია, და ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცედურაც თავიდან იქნება აცილებული. ეს ხდება შემდეგნაირად: როდესაც სამედიცინო ჩანაწერების ანონიმიზაცია ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებში, თითოეულ პაციენტს ენიჭება უნიკალური კოდი. კოდი და მასზე მიბმული სამედიცინო მონაცემები ხელმისაწვდომია მკვლევარებისთვის,

ხოლო პირადი ინფორმაცია, რაც დგას კოდის უკან და იძლევა პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას (მაგალითად, იდენტიფიკატორები – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, დაზღვევის ნომერი, მისამართი, ტელ. ნომერი, ელ.ფოსტა, ფოტოსურათი, და სხვ), მკაცრად არის დაცული სამედიცინო ცენტრის პერსონალის მიერ <sup>277</sup>. ამგვარი ანონიმიზაცია შესაძლებელია, როდესაც ყველა სამედიცინო ჩანაწერი შენახულია ელექტრონულად, რაც სამწუხაროდ არ არის ხშირი პრაქტიკა ქართულ სამედიცინო დაწესებულებებში. გარკვეულ დონეზე ანონიმიზაცია მიიღწევა, თუმცა, სამედიცინო ჩანაწერების ნაწილი, როგორებიცაა მაგალითად, ლაბორატორიული კვლევის შედეგები ან ექიმი-სპეციალიტების დღიური ჩანაწერები (კურსუსები), მხოლოდ ქაღალდზეა შენახული. შესაბამისად, როდესაც ვინმეს სურვილი აქვს ამ ჩანაწერების ნახვის, ხდება შემთხვევითი წვდომა პაციენტის პირად ინფორმაციასთან (იდენტიფიკატორებთან).

გამოსავალი ამ შემთხვევაში შესაძლოა იყოს სპეციალური საკომუნიკაციო პროცედურის დაცვა სამედიცინო კვლევისთვის არა-ანონიმური ინფორმაციის გამოყენებზე. სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშავონ ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტების პირადი ინფორმაციის დაცულობას მკვლევარებისგან. ეს შესაძლებელია განხორციელდეს მკურნალი ექიმების ჩართვით კვლევით პროექტებში, სადაც ისინი შეასრულებენ “მეკავშირის” როლს მკვლევარებსა და სამედიცინო ჩანაწერებს შორის. სამედიცინო დაწესებლებებმა ასევე უნდა გამონახონ რესურსები იმ ექიმების მხარდასაჭერად, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაქმარონ მკვლევარებს და ჩაერთონ კვლევით პროექტებში. თავისი მხიდან, მკვლევარებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ არა-ანონიმური მონაცემები შენახული იქნება მკაცრად კონფიდენციალურად. იდენტიფიკატორების მოცილება სამედიცინო ფაილებზე უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და კვლევითი სამუშაო უნდა ჩატარდეს ანონიმურ მონაცემთა ბაზაზე. ეს არის ის საკითხი, რაზე მეთვალყურეობაზეც თავის თავზე უნდა აიღონ სამედიცინო დაწესებულებების ეთიკის კომისიებმა.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ კვლევის პროტოკოლები, რომლებიც განსახილველად წარდგენილი იქნება ეთიკის კომისიებისთვის, მოიცავდეს პოტენციური ეთიკური სირთულეების გადაჭრის გზებს და ასაბუთებდეს განსახირციელებელი კვლევის კლინიკურ მნიშვნელობას. პაციენტების

კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხე ზედმიწევნით უნდა იქნეს შეფასებული და მათი თავიდან აცილების გზებიც უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ აღნიშნული პირობების დაქმაყოფილების შემდგომ უნდა მოიწონონ ეთიკის კომისიებმა კვლევების პროტოკოლები და უზრუნველყონ წვდომა სამედიცინო ჩანაწერებზე.

### 2.3. დასკვნა

პაციენტების პარადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი გამოწვევა არა-ექსპერიმენტული კვლევების განხორციელებისას. იმისათვის, რომ ეთიკური საკითხების გადაწყვეტა შესაბამისობაში იყოს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან, სამედიცინო დაწესებულებები და მკვლევარები ვალდებული არიან:

- როდესაც შესაძლებელია, მიაწოდონ ინფორმაცია პაციენტებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) სამედიცინო ჩანაწერების კვლევისთვის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. პროსპექტულ რეჟიმში ინფორმირებული თანხმობა მოპოვებულ ინდა იქნეს მკურნალი ექიმების მიერ, შემდეგი ნიუანსის გათვალისწინებით: “ექიმი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს პაციენტის მხრიდან თანხმობის მიღების საკითხს, რადგან შესაძლებელია ის თავს თვლიდეს მასზე (ექიმზე) დამოკიდებულად და ეს გააკეთოს გარკვეული იძულებით. ასეთ სიტუაციაში უმჯობესია თანხმობა მოპოვებულ იქნეს სხვა პირისგან, რომელიც თავისუფალი იქნება აღნიშნული დამოკიდებულებისგან (მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია (WMA), ჰელსინკის დეკლარაცია, პარაგრაფი 26, 2008).
- კვლევის მიმდინარეობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პირად ინფორმაციასთან წვდომა, იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ინფორმირებული თანხმობის მიღება და/ან მონაცემთა სრული ანონიმიზაცია.
- სამედიცინო ფაილებიდან პირადი იდენტიფიკატორების მოცილება უნდა მოხდეს რაც შეიძლება აღრეულ ეტაპზე და კვლევითი სამუშაო უნდა ჩატარდეს ანონიმურ მონაცემთა ბაზაზე. კვლევის შედეგები უნდა

გამოქვეყნდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს პაციენტების იდენტიფიცირება.

წარმოდგენილმა სადოქტორო კვლევამ გაიარა ზემოთაღნიშნული ყველა პროცედურა, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადსერტაციო საბჭოს მიერ კვლევის დამტკიცების შემდეგ, კვლევის პროტოკოლი განხილულ და მოწონებულ იქნა იმ სამედიცინო დაწესებულებების ეთიკის კომისიების მიერ, სადაც კვლევა განხორციელდა. მაგალითისთვის მოგვყავს ამონარიდი პოსპიტალური ქსელი “მედალფას” კასპის სამედიცინო ცენტრის ეთიკის კომისიის დასკვნიდან: “კვლევის ჩატარების მიმართ ეთიკური წინააღმდეგობა არ არსებობს. კვლევა არის რეტროსპექტიული, რაც გამორიცხავს პაციენტების ინფორმირებული თანხმობის მოპოვების შესაძლებლობას. შესაბამისად, საჭირო მონაცემების ამოღება სამედიცინო ბარათებიდან უნდა მოხდეს მკურნალი ექიმების მიერ, რათა დაცული იქნეს პაციენტების კონფიდენციალურობა. თითოეულ პაციენტს მიენიჭება ინდივიდუალური კოდი, რომელიც შეინახება სამედიცინო დაწესებულებაში. კვლევის ოქმი, რომელიც გადაეცემა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, იქნება ანონიმური, რაც შეუძლებელს გახდის პიროვნების იდენტიფიცირებას”.

კვლევის შესახებ ინფორმაცია ასევე მიეწოდა ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოს.

### 3. კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია და პროტოკოლი

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი კველვა წარმოადგენს არა-ექსპერიმენტულ კვლევას. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად ის რეგისტრირებულია კლინიკური კვლევის საერთაშორისო რეესტრში ვებ გვერდზე: <https://clinicaltrials.gov>. რეგისტრაციის ნომერია: NCT02792387.

#### 3.1. კვლევის მიზნები

კვლევა ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ მარცენა პარკუჭის განდევნის ფრაქციის შემცირება არ უკავშირდება GFR-ის შემცირებას, ხოლო CVP, მარცენა პარკუჭის განდევნის ფრაქციაზე მეტად არის კორელაციაში თირკმელების ფუნქციის დარღვევასთან (გამოხატული, როგორც შემცირებული GFR<90) იმ პაციენტებში, რომლებსაც ადენიშნებათ კარდიო-რენული სინდრომის I და II ტიპი. ჰიპოთეზის დადასტურება გავლენას იქონიებს რისკების ადრეულ შეფასებასა და CRS-ს ადრეულ დიაგნოსტირებაზე, ასევე, დაავადების მიმდინარეობასა და გამოსავალზე.

#### 3.2. დიზაინი

კვლევის დიზაინი იყო კროს-სექციული ტიპის §§ და განხორციელდა შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე: ჰოსპიტალური ქსელი “მედალფას” 4 სამედიცინო ცენტრი, მედიქლაბჯორჯია, სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრი (ნ. ბოხუას სახელობის). კვლევა მოიცავდა სტაციონარული პაციენტების კლინიკურ შემთხვევებს, 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის მაისის ჩათვლით.

პაციენტების რეტროსპექტიული ჩართვა განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (იხ.: 3.3.). მონაცემების ამოღება განხორციელდა სტაციონარული სამედიცინო ბარათებიდან, რომლებიც რიგ შემთხვევებში

---

§§ კროს-სექციული კვლევა, ანუ ანალიზი, არის ობზერვაციული კვლევების ნაირსახეობა რომელიც გულისხმობს დროის გარკვეულ მონაცემთში პოპულაციიდან ან წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატიული) ჯგუფიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს. კროს-სექციული კვლევები არის დესკრიპციული ხასიათის (არ არის ხანგრძლივი (longitudinal), არც ექსპრიმენტული)

ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული (სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრი). eGFR განისაზღვრა თირკმელების დაავადებების დროს მოდიფიცირებული დიეტის ფორმულით (MDRD). CVP-ს მონაცემები მოცემული იყო ვერცხლისწყლის სვეტის სიდიდეში (ჩანაწერების მიხედვით, ყველა შემთხვევაში CVP განსაზღვრული იყო ელექტრონული გადამწოდით ლავიწქვეშა ან შიდა საუდლე ვენის მიდგომით).

### 3.3. საკვლევი პოპულაცია, ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმები

კვლევა მოიცავდა პაციენტებს გულის უცმარისობის სხვადასხვა ფუნქციური კლასით (NYHA კლასი I - IV, შენარჩუნებული ან დაქვეითებული განდევნის ფრაქციით - ICD10: I50.0 - I50.9; I13.0 - I13.9) და შემცირებული eGFR-ით (კარდიორენული სინდრომი I და II ტიპი). შესაბამისად, ჩართვის კრიტერიუმები იყო HF I-IV და eGFR <90.

გამორიცხვის კრიტერიუმები განსაზღვრული იყო შემდეგ სახით:

1. თირკმელების ფუნქციის დარღვევის დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორების არსებობა (მაგალითად, სეფსისი, დიაბეტი);
2. პირველადი ნეფროპათია ან მეორადი ნეფროპათია გამოწვეული გულის უცმარისობის გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით.

### 3.5. სტატისტიკური დამუშავების გეგმა

აღწერითი და ანალიტიკური სტატისტიკის, დამოკიდებულ ცვლადზე სტატისტიკური ტესტირების მიზნით გამოყენებული იყო პროგრამა IBM SPSS Statistics version 22.

eGFR (MDRD formula) განსაზღვრული იყო როგორც დამოკიდებული ცვლადი (Outcome Variable), ხოლო სქესი, ასაკი, LVEF %, HF (NYHA კლასი I - IV), CVP, RVEDD და არტერიული ჰიპერტენზია (JNC VIII კლასიფიკაციით), როგორც დამოუკიდებელი ცვლადები (Predictor Variable), LVEF, როგორც პოტენციური გავლენის ფაქტორი (Confounding Factor) CVP-ს და eGFR-ს შორის კორელაციის არსებობის შემთხვევაში.

### 3.6. მონაცემთა მოპოვება

წარმოდგენილი კვლევის შემთხვევაში, ისევე როგორც ზოგადად რეტროსპექტიული კვლევების დროს, საჭირო მონაცემების ამოღება ხდებოდა უკვე არსებული კლინიკური შემთხვევების სამედიცინო ჩანაწერებიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ზოგადად არ არსებობს კარდიო-რენული სინდრომის დიაგნოზის ICD10 \*\*\* კოდი (კლასიფიკაციი), რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება საქართველოში და მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში<sup>278</sup>. შესაბამისად, მონაცემთა ბაზებში კარდიო-რენული სინდრომის დიაგნოზი არ ყოფილა (და დღესაც არ არის) დაფიქსირებული. სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალი ექიმების მიერ საჭირო იყო გულის უკმარისობით (ICD10: I50.0 – I50.9) დიაგნოსტირებული ყველა პაციენტის სამედიცინო ბარათის ნახვა და თირკმელების ფუნქციური მდგომარეობის შეფასება იქ არსებული ჩანაწერების და კვლევის შედეგების მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარდიო-რენულ სინდრომთან ერთი შეხედვით ახლოს არის ICD10 კოდი II3, რომელიც გულისხმობს “გულისა და თირკმლის ჰიპერტენზიულ ავადმყოფობას” †††, თუმცა, მისი გამოყენების აუცილებელი პირობაა არტერიული ჰიპერტენზიის არსებობა, რაც ყოველთვის არ გვხვდება CRS-ის დროს.

როგორც პაციენტის კვლევაში რეგისტრაციის ფორმით და პროტოკოლით იყო განსაზღვრული, მკურნალი ექიმების მიერ საჭირო იყო შემდეგი მონაცემების ამოღება პაციენტების სამედიცინო ბარათებიდან:

1. სქესი
2. ასაკი
3. LVEF %
4. გულის უკმარისობის კლასი (I-IV NYHA)
5. CVP mmHg
6. კრეატინინი
7. RVEDD

\*\*\* ICD-10 არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) დაავადებების და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვა

††† Hypertensive heart and renal disease

## 8. არტერიული ჰიპერტენზია (JNC VIII)

გარდა აღწერითი (დესკრიფტიული) სტატისტიკის მიღებისა, 1-ლი, მე-2, და მე-6 მონაცემები აუცლებელი იყო პლაგის დამოკიდებული ცვლადის (dependent variable, outcome variable) - eGFR-ის გამოსათვლელად (გამოთვლისას ასევე გამოიყენება პაციენტის რასობრივი კუთვნილების მონაცემი). eGFR, ანუ გორგლოვანი ფილტრაციის შეფასებითი მაჩვენებელი (Estimated Glomerular Filtration Rate) არის GFR-ის მიახლოებითი, მათემატიკური ფორმულით მიღებული სიდიდე <sup>279</sup>.

ზრდასრულ პაციენტებში რეკომენდებულია eGFR-ის ორი ფორმულის გამოყენება. ესენია: თირკმელების დაავადებების დროს მოდიფიცირებული დიეტის ფორმულა (Modification of Diet in Renal Disease (MDRD) formula) და თირკმელების ქრონიკული დაავადების ეპიდემიოლოგთა კოლაბორაციის ფორმულა (Chronic Kidney Disease Epidemiology Collaboration (CKD-EPI) formula) <sup>280</sup>.

MDRD ფორმულა:

$$\text{eGFR} = 186 \times \text{შრატის კრეატინინი}^{-1.154} \times \text{ასაკი}^{-0.203} \times (1.210 \text{ თუ } \text{შავგანიანია}) \times (0.742 \text{ თუ } \text{ქალია})$$

CKD-EPI ფორმულა:

$$\text{eGFR} = 141 \times \min(\text{SCr}/\text{k,l})^\alpha \times \max(\text{SCr}/\text{k,l})^{-1.209} \times 0.993^{\text{ასაკი}} \times (1.018 \text{ თუ } \text{ქალია}) \times (1.159 \text{ თუ } \text{შავგანიანია})$$

eGFR-ის გამოთვლა ასევე შესაძლებელია ონლაინ კალკულატორების საშუალებით, მაგალითად, თირკმელების ეროვნული ფონდის (National Kidney Foundation) <sup>##</sup> ვებ-გვერდზე განთავსებული ონლაინ კალკულატორის მეშვეობით: [https://www.kidney.org/professionals/kdoqi/gfr\\_calculator](https://www.kidney.org/professionals/kdoqi/gfr_calculator).

წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია MDRD ფორმულა, რადგან არსებობს მონაცემები, რომ CKD-EPI-სგან განსხვავებით ის თანაბრად ზუსტია მწვავე და ქრონიკული შემთხვევების დროს <sup>281 282</sup>.

<sup>##</sup> აშშ-ში რეგისტრირებული მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინაც მდებარეობს ნიუ-იორკში

პაციენტების სამედიცინო ჩანაწერებში არსებული შრატის კრეატინინის მონაცემები ძირითადად განსაზღვრული იყო მგ/დლ ( $\text{mg/dL}$ ) სიდიდეში. მკმოლ/ლ ( $\mu\text{mol/L}$ ) სიდიდეში განსაზღვრული მონაცემების გადაყვანა მგ/დლ-ზე ხდებოდა 88.4-ზე გაყოფით<sup>283</sup>.

რაც შეეხება CVP-ს, კვლევაში გამოყენებული ყველა მონაცემი მოცემული იყო კერცხლისწყლის სვეტის სიდიდეში (ჩანაწერების მიხედვით, ყველა შემთხვევაში CVP განსაზღვრული იყო ელექტრონული გადამტოდით ლავიტქვეშა ან შიდა საჟღლე ვენის მიღებით).

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ასობით პაციენტის კლინიკური შემთხვევიდან მხოლოდ ძალზედ მცირე ნაწილი აკმაყოფილებდა კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს. უმეტეს შემთხვევებში არ იყო განსაზღვრული CVP, ან არ იყო მითითებული გაზომვის მეთოდოლოგია. ბუნებრივია, CVP განსაზღვრული იყო მხოლოდ იმ კლინიკურ შემთხვევებში, როდესაც პაციენტებს აღენიშნებოდათ გულის მწვავე უკმარისობა (AHF) და მკურნალობა უტარდებოდათ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (კარდიო-რენული სინდრომის პირველი ტიპი). ასევე, ხშირად არ იყო საკმარისი ინფორმაცია ანამნეზის შესახებ, რაც არ იძლეოდა საშუალებას დიფერენცირება მომხდარიყო თირკმელების პირველად თუ მეორად დაზიანებას შორის. გადაწყდა შექმნილიყო 2 ჯგუფი (მონაცემთა ბაზა), ერთი CVP-ს მონაცემებით (CVP group), რომელიც მოიცავდა კარდიო-რენული სინდრომის პირველი ტიპის კლინიკურ შემთხვევებს, ხოლო მეორე CVP-ს გარეშე (Non-CVP group), რომელიც მოიცავდა კარდიო-რენული სინდრომის მეორე ტიპის კლინიკურ შემთხვევებს. CVP group-ში ჩატარდა პილოტური კვლევა დიდი კვლევისთვის სტატისტიკური პარამეტრების განსაზღვრის და ინსტრუმენტების ტესტირების მიზნით<sup>284 285</sup>.

#### 4. შედეგები

Non-CVP ჯგუფში (CRS II ტიპი) მონაწილეთა საერთო რაოდენობა იყო 44, საშუალო ასაკი - 67.8 (SD 13.1), და 64% იყო მამაკაცი. საშუალო eGFR იყო 60.8 ml/min/1.73m<sup>2</sup> (SD 19), საშუალო LVEF – 42.7 (SD 14) და საშუალო RVEDD – 34.5 (SD 6.2).

Descriptive Statistics								
	N	Range	Minimum	Maximum	Sum	Mean	Std. Deviation	Variance
eGFR	44	85.00	5.00	90.00	2673.00	60.7500	19.02401	361.913
LVEF	44	44.00	16.00	60.00	1880.00	42.7273	14.03544	196.994
HF	44	3.00	1.00	4.00	120.00	2.7273	.62370	.389
RVEDd	44	28.00	21.00	49.00	1516.00	34.4545	6.23738	38.905
Age	44	67.00	23.00	90.00	2981.00	67.7500	13.14344	172.750
Valid N (listwise)	44							


ცხრილი 5. Non-CVP ჯგუფის აღწერითი სტატისტიკა

LVEF-ს და eGFR-ს შორის ასოციაციის დადგენის მიზნით გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის ტესტი (Pearson correlation analysis)<sup>286 287</sup>, რომელიც იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, თუმცა უარყოფითი: -0.336 (Sig. 0.026).

Correlations			
		LVEF	eGFR
LVEF	Pearson Correlation	1	-.336*
	Sig. (2-tailed)		.026
	N	44	44
eGFR	Pearson Correlation	-.336*	1
	Sig. (2-tailed)	.026	
	N	44	44

\*. Correlation is significant at the 0.05 level (2-tailed).

ცხრილი 6. კორელაცია eGFR-ს და LVEF-ს შორის



გრაფიკი 1. eGFR-ს და LVEF-ს შორის კორელაციის ამსახველი წერტილოვანი  
დიაგრამა

რაც შეეხება კორელაციას გულის უკმარისობის NYHA-ს კლასს და eGFR-ს შორის, პირსონის კორელაციის ტესტით გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, უარყოფითი, საშუალო სიძლიერის კორელაცია: -0.349 (Sig. 0.020).

Correlations			
		eGFR	HF
eGF R	Pearson Correlation	1	-.349*
	Sig. (2-tailed)		.020
HF	N	44	44
	Pearson Correlation	-.349*	1
	Sig. (2-tailed)	.020	
	N	44	44

\*. Correlation is significant at the 0.05 level (2-tailed).

### ცხრილი 7. კორელაცია eGFR-ს და HF-ს შორის

გამოვლინდა კორელაციის არარსებობა მარჯვენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლურ დიამეტრსა (RVEDD) და eGFR-ს შორის ( $n=44$ ,  $r = -0.093$ ,  $p=0.548$ ).

Correlations			
		eGFR	RVEDd
eGFR	Pearson Correlation	1	-.093
	Sig. (2-tailed)		.548
	N	44	44
RVED d	Pearson Correlation	-.093	1
	Sig. (2-tailed)	.548	
	N	44	44

ცხრილი 8. კორელაცია eGFR-ს და RVEDD-ს შორის

Non-CVP ჯგუფის (CRS II ტიპი) შექმნისას გამოვლინდა, რომ საკვლევ დროის მონაკვეთში გულის უკმარისობით პოსპიტალიზირებული პაციენტების 31.7%-ს აღენიშნებოდა თირკმელების ფუნქციის მეორადი გაუარესება (კარდიო-რენული სინდრომის მეორე ტიპი). აქედან, თირკმელების ქრონიკული დაავადების (CKD) კლასიფიკაციით, 59%-ს აღენიშნებოდა თირკმელების ფუნქციის მცირედი (GFR=60-89), 25%-ს ზომიერი (GFR=30-59), 13.7%-ს მძიმე (GFR=15-29) და 2.3%-ს ტერმინალური (GFR<15) დაქვეითება. CKD დიაგნოსტირებული იყო შემთხვევათა 11.4 %-ში.

CVP ჯგუფში (CRS I ტიპი) მონაწილეობა საერთო რაოდენობა იყო 11, საშუალო ასაკი - 65 (SD 12.5), და 63.6% იყო მამაკაცი. საშუალო eGFR იყო 43 ml/min/1.73m<sup>2</sup> (SD 10), საშუალო LVEF - 46 (SD 6) და საშუალო CVP – 10.4 mm Hg (SD 1.1).

Descriptive Statistics					
	N	Minimum	Maximum	Mean	Std. Deviation
Age	11	45.00	86.00	64.9091	12.49363
